სიცოცხლე ძლიერია იმდენად, კედლებს გაარღვევს, რომ გამოვლინდეს...

სიცოცხლე ხელშესახებია იმდენად, რომ შეუძლებლად გეჩვენება განშორება მასთან...

სიცოცხლე დიადია იმდენად, რომ სიკვდილის წინ ზეთისხილის ხეს რგავ რწმენით, რომ აყვავებულს იხილავ მას...

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში
სიცოცხლის დაცვისადმი მიძღვნილი გამოფენა

სიბა

№3(183)
მარტი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ემსახურო თუ იმსახურო? გამოადგე თუ გამოიყენო?

ღმერთო, განმაახლე მე და განწმიდე გული ჩემი

ემსახურო თუ იმსახურო? გამოადგე თუ გამოიყენო?

„მსახურება“ პოტენციურად შემაწუხებელი ზმნაა. ალბათ, არ არსებობს მნიშვნელობებით ესოდენ მდიდარი სხვა ზმნა, განსაკუთრებით, თუ მის შესატყვის არსებით სახელსაც გავითვალისწინებთ: სამსახური/მომსახურება. განა მოიძებნება სხვა ისეთი სიტყვა, რომელიც მრავალ ენაზე აღნიშნავს კულტს, „რელიგიურ მსახურებას“ (ინგლისურად services), სასულიერო პირს — ღვთისმსახურს, და, ამავე დროს, — უმნიშვნელო სამუშაოს შემსრულებელს — მსახურს, ზოგ ენაზე კი საპირფარეშოსაც?

მაშასადამე, ესაა ზმნა, რომელიც აღნიშნავს სიკეთის, კეთილი საქმის კეთებას, როგორც, მაგალითად, „ვინმეს სამსახურში ჩადგომას“, მაგრამ აგრეთვე — დამორჩილებასა და დამონებას. რატომ ხდება ასე? მართლაც, ზმნა „მსახურება“ ადამიანისთვის სახასიათო მრავალ კონფლიქტურ მომენტს გამოხატავს. ადამიანის ცხოვრებაში ეს ზმნა ასახავს გადასვლას ბავშვობიდან ზრდასრულობის ფაზაში, როცა ბავშვი სხვათა მსახურების წყალობით კი აღარ იზრდება, არამედ უკვე თავადაც შეუძლია სხვათა მსახურება. ვინ არის ზრდასრული ადამიანი, თუ არა პირი, რომელსაც მსახურება, სხვისთვის სამსახურის გაწევა შეუძლია? მარადიული ბავშვი კი მუდამ სხვათა ხარჯზე მცხოვრები პირია.

ადამიანის ცხოვრებაში მოწოდებასთან დაკავშირებული არჩევანი „მსახურების“ მნიშვნელობის ნამდვილ, სწორ გაგებას ეფუძნება: დაქორწინება გადავწყვიტე, რადგანაც მსურს, ვემსახურო მეუღლეს, შვილებს; მსურს, გავხდე მღვდელი, ბერი, მისიონერი, რათა ვემსახურო ქრისტეს, ეკლესიას, ძმებს...; შეიძლება პოლიტიკური სარბიელი ავირჩიო, რათა იდეალებს, საზოგადო სიკეთეს ვემსახურო.

ზმნა „მსახურება“ იესოს ცხოვრების მისიას გამოხატავს. მარკოზის სახარებაში (10, 45) ვკითხულობთ, რომ „ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“. ლუკას სახარებაში (22, 27), საიდუმლო სერობის დროს, იესომ საკუთარ თავს უწოდა მსახური, და... დაიწყო მოწაფეების ფერხთბანა (იოან. 13, 3-4). ეს იყო იესოს გრანდიოზული ჟესტი, მისი მსახურება კაცობრიობისადმი: მამა ღმერთისა და ხსნის მისეული ჩანაფიქრისადმი მორჩილება, და არა ამ ჩანაფიქრის სათავისოდ გამოყენება. იმ დროს ძალაუფლების მპყრობელნი ხალხს არ უწევდნენ ანგარიშს. მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ (შდრ. მარკ. 6, 17-29). ჩვეულებრივი ამბავი იყო საზოგადოებაში ძალაუფლების ძალადობით და ბოროტად გამოყენება, თუმცა, ამის მიუხედავად, ძლიერნი იმდენს ახერხებდნენ, რომ ხალხი მათ კეთილისმყოფელებად მოიხსენიებდა. იესო სხვას გვთავაზობს: „მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს; ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს ყველას მონა!“(მარკ.,10,43-44). იესომ არსებული სისტემა შეაბრუნა და დაამკვიდრა მსახურება, როგორც საშუალება პიროვნული და კოლექტიური ამბიციის წინააღმდეგ, სხვათა უანგარო მსახურება, თუნდაც მადლიერებისა და აღიარების მოლოდინის გარეშე, მსახურების ახალ საჭიროებათათვის მუდმივ მზადყოფნაში. „ყოველივე არსებულის – ჭეშმარიტების — სამსახურში ჩადგომა ღმერთის მსახურებას ნიშნავს“, — განაცხადა მაჰათმა განდიმ.

ეს იმდროინდელი საზოგადოებისთვის სრულიად ახალი წინადადება იყო, თუმცა ის ძალაშია დღესაც, ვინაიდან ზმნა „მსახურება“ საფრთხეს შეიცავს, რაკიღა „ემსახურო“ შეიძლება იქცეს „იმსახურო“-დ და

ასეთ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) ოჯახს, იყენებ ოჯახს; იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) სახელმწიფოს, იყენებ სახელმწიფოს; იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) ეკლესიას, იყენებ ეკლესიას; იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) კარიტასს, იყენებ კარიტასს...; იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) ეკუმენიზმს, იყენებ ეკუმენიზმს; იმის ნაცვლად, რომ გამოადგე (ემსახურო) უპოვართ, იყენებ უპოვართ. ამასთან დაკავშირებით, ერთი იტალიელი მღვდელი, დონ მილანი, წერდა, რომ „უნდა ვემსახუროთ ღარიბებს, მაგრამ უნდა გავფრთხილდეთ, რომ ისინი ჩვენი ინტერესებისთვის არ გამოვიყენოთ. სიღარიბის წარმომშობ უსამართლობასთან შერიგება, ღარიბების გამოყენება, მათი მორგება საკუთარი ინტერესებისთვის — ერთი და იმავე ბოროტების განსხვავებული ასპექტებია. და, სამწუხაროდ, საკუთარი ინტერესებისთვის ღარიბების გამოყენების ცდუნება მუდამ არსებობს, აგრეთვე მათ შორისაც, ვინც სიტყვით მათ სამსახურშია ჩაბმული. სხვისი გამოყენება ინფანტილიზმის კიდევ ერთი ფორმაა, რომელიც იმდენად ზრდის წინააღმდეგ პროტესტს კი არ გამოხატავს, არამედ არასწორად გაზრდას ადასტურებს, მცდარი პრინციპების, ცრუ იდეალების, არასწორი მაგალითების გათავისებაზე მეტყველებს. ამ საფრთხის წინაშე დგას ღარიბთათვის დახმარების გამწევი მრავალი ორგანიზაცია. რამდენი ორგანიზაცია არსებობს მსოფლიოში ღარიბთა ხარჯზე... შეწირულობათა დიდი ნაწილი ორგანიზაციების სტრუქტურას, თანამშრომელთა მაღალ ხელფასებს ხმარდება... ღარიბებს კი ნამცეცები ხვდებათ. რამდენ ორგანიზაციაში, ღარიბებს რომ ემსახურება, გეგმები, პროექტები და წინადადებები, პირველ რიგში, საკუთარი სამუშაო ადგილის შენარჩუნებას ემსახურება და მხოლოდ ამის შემდეგ ითვალისწინებს ღარიბთა დახმარებას. ესეც ღარიბთა საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებაა. და ასეთი რამ რომ ეკლესიაში, ან ეკლესიის რომელიმე ორგანიზაციაში მოხდეს, ძალიან დიდი ცოდვა იქნებოდა.

ყოველ ქრისტიანს, ვინც პატარა თუ დიდ თავყრილობებს მიმართავდა და მიმართავს დღესაც, მოედნებზე, საწარმოთა ეზოებში თუ... თუნდაც ეკლესიების წინ, საკუთარი სარგებლისთვის (სულ ერთია, იმიჯის, ძალაუფლების თუ ფულის მოხვეჭის სურვილით), მსახურების ნიმუშად უნდა ჰქონდეს იოანე ნათლისმცემლის მაგალითი: სხვა მრავალი ადამიანისგან განსხვავებით, იოანე ნათლისმცემელი მოყვასის სიკეთისთვის გაისარჯა და, საკუთარი საქმის დასრულების შემდეგ, უმალ ჩრდილში მოექცა.

ქრისტესადმი მსახურება და არა მისი გამოყენება, ეკლესიისადმი, მეორე ადამიანისადმი მსახურება და არა მათით სარგებლობა... გვავიწყდება, რომ იესომ გვითხრა: „დასასრულ თქვით: უბრალო, გამოუსადეგარი მსახურები ვართო“.

იოანე ნათლისმცემელი საკუთარ სიცოცხლეს მთლიანად უძღვნის სხვებს, საქმეს... ის სხვა პირის მომხრეთა და მიმდევართა შეკრებას ემსახურება და იდუმალი სიდიადის მატარებელია.

იოანე პავლე II-ის ნეტარად შერაცხვის ამბავი გავრცელდა: განსაკუთრებული ქარიზმით დაჯილდოებული ადამიანისა, რამაც მას მთელი სამყაროს სიყვარული და ყურადღება მოუტანა, თუმცა თავად ის მთელი ცხოვრების მანძილზე იმას ესწრაფვოდა, რომ ადამიანთა ყურადღება მიეპყრო უფლისადმი, ვისიც მხოლოდ მსახური იყო თავად, „მსახურთა მსახური“. „გაუღეთ, ფართოდ გაუღეთ კარი ქრისტეს“, — ეს იყო სამყაროსადმი მიმართული მისი პირველი და შემდეგ ყველაზე ხშირად გამეორებული სიტყვები. ის მხოლოდ ქრისტეზე მიუთითებდა!

სკაუტთა მოძრაობის ფუძემდებელი, ბ. პაუელი აცხადებდა: „ამქვეყნად ჩვენთვის როდი მოვსულვართ, არამედ სხვათათვის სიკეთის საკეთებლად. აქ არა მისაღებად, არამედ – გასაცემად ვართ. ყოველი ადამიანის წინაშე ორი გზაა: საკუთარი თავის ან მოყვასის მსახურების გზები. თითოეულმა ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ ცხოვრებისეული შთაგონების გზად. საკუთარი თავის მსახურება უფრო მოსახერხებელია, მოყვასისთვის ზრუნვა კი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს. მაგრამ, თუ დავფიქრდებით, საკუთარი თავის მსახურება ნიშნავს საკუთარი ამბიციის ტყვეობაში მოქცევას, რაც შურისა და დაუკმაყოფილებლობის დასაბამია. სხვათა მსახურებისას კი თავისუფლები ვართ, საზღაურისთვის არ ვირჯებით, არც სხვებს ვეჯიბრებით. თავისუფლები ვართ, გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული, სიყვარულს კი ერთი საინტერესო რამ ახასიათებს: რაც მეტს გავცემთ, მით უფრო უხვად ვიღებთ მას! მაშ, კეთილი იყოს თქვენი გზა მსახურებისა!“

კეთილი იყოს მსახურების გზა: მარტის თვეში აღდგომისთვის მოსამზადებელი ორმოცდღიანი პერიოდი იწყება, აღდგომას კი წელს ყველა ქრისტიანი ერთად აღნიშნავს, კალენდრული განსხვავებების მიუხედავად. უეჭველად, ეს დიდი მადლია. და, თუკი ამ პერიოდში რაიმე უნდა მოვიშველიოთ სამსახურში, იქნება ეს მარხვა, ლოცვა, გულმოწყალება, — მხოლოდ ქრისტეს, ეკლესიის, მოყვასის მსახურებისათვის... საკუთარი ვნებების ძლევითა და ყოველგვარ პიროვნულ ინტერესებზე უარის თქმით.

„მეძინა და მესიზმრა, რომ ცხოვრება სიხარული იყო, გავიღვიძე და ვიხილე, რომ ცხოვრება მსახურება იყო. მსახურება ვისურვე და ვნახე, რომ მსახურება სიხარული იყო“ (თაგორი).

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი,
ეპისკოპოსი † ჯუზეპე პაზოტტო

ბენედიქტე XVI რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა

„დღეს, 17 თებერვალს, უწმიდესი პაპი ბენედიქტე XVI რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, დიმიტრი მედვედევს შეხვდა. აუდიენციის დასრულების შემდეგ, პრეზიდენტი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის თანხლებით, ვატიკანის სახელმწიფო მდივნის, ტარჩიზიო ბერტონესთან და საგარეო ურთიერთობათა მდივანთან, დომინიკ მამბერტისთან შესახვედრად გაემართა.

გულითადი საუბრის მსვლელობისას, მხარეებმა კმაყოფილება გამოხატეს ორმხრივ ურთიერთობათა მაღალი ხარისხის გამო, გამოთქვეს ამ ურთიერთობათა გაუმჯობესებისათვის მზადყოფნა და სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურვილი. შეხვედრისას, განხილული იყო წმიდა საყდრისა და რუსეთის ფედერაციის თანამშრომლობის შესაძლებლობები ადამიანურ და ქრისტიანულ ღირებულებათა განმტკიცების საქმეში, ასევე, კულტურულ და სოციალურ სფეროებში. ხაზი გაესვა აგრეთვე იმ დადებით წვლილს, რომელიც შეაქვს ინტერრელიგიურ დიალოგს საზოგადოების განვითარებაში. საუბარი საერთაშორისო სიტუაციასაც შეეხო, განსაკუთრებით კი ვითარებას ახლო აღმოსავლეთში“, — ნათქვამია წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის კომუნიკეში.

ეგვიპტემ ვატიკანში თავისი წარმომადგენელი დააბრუნა

ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ხელისუფლებამ თავისი წარმომადგენლის ვატიკანში დაბრუნება გადაწყვიტა.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლამია ალი ჰამადა მექჰემარი მას შემდეგ გამოიხმო, რაც პაპმა ალექსანდრიის კოპტებზე თავდახმა დაგმო. ქრისტიანული უმცირესობის დაცვის მოწოდება ეგვიპტის ხელისუფლებამ ქვეყნის საქმეებში „დაუშვებელ ჩარევად“ მიიჩნია. ამავე დროს წმიდა საყდართან

ურთიერთობა გაწყვიტა ქაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტმაც.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა ამ გადაწყვეყილებას წინ უძღოდა კონფლიქტის შეწყვეტისა და დიალოგის განახლების არაერთი თხოვნა წმიდა საყდრის წარმომადგენელთა მხრიდან. ამავე თხოვნით ხელისუფლებას ქაიროში წმიდა საყდრის დესპანმა, მთავარეპისკოპოსმა მაიკლ ფიცჯერალდმა მიმართა. „მხედველობაში მივიღეთ მოვლენათა ბოლოდროინდელი განვითარება და ამ თხოვნის დაკმაყოფილება გადავწყვიტეთ. ლამია მექჰემარი რომში ოთხშაბათს დაბრუნდება“, — განაცხადა ეგვიპტის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა ჰოსამა ზაქიმ.

ლამია მექჰემარი ვატიკანში 23 თებერვალს დაბრუნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობები რელიგიათა შორის ურთიერთობათა პაპის საბჭოსა და ალ-აზჰარის უნივერსიტეტს შორის ჯერჯერობით გაყინულ მდგომარეობაშია.

ეგვიპტის ქრისტიანები კვლავ საფრთხის წინაშე არიან

20 თებერვალს, ქაიროში ათასობით კოპტი ქრისტიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე ეგვიპტის კონსტიტუციის მე-2 მუხლის გაუქმების მოთხოვნით. „ისლამი ეგვიპტის სახელმწიფო რელიგიაა, არაბული — ოფიციალური ენა. კანონმდებლობის ძირითადი წყარო

შარიათია“, — ასე ჟღერს ქვეყნის კონსტიტუციის ეს მუხლი.

„სულები გავწირეთ ეგვიპტისათვის. ჩვენი მიზანი სამოქალაქო საზოგადოება იყო და არა რელიგიური“, — აღნიშნა დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

წმიდა საყდრისა და ისრაელის მუდმივი სამუშაო კომისიის წევრი, მღვდელი დავიდ-მარია ჯეგერი აღნიშნავს, რომ „ეგვიპტელებს არ სურთ იმგვარი თეოკრატიული სახელმწიფო, რომლისკენაც „ძმები მუსლიმები“ და მსგავსი ორგანიზაციები ისწრაფიან. თუმცა, როდესაც 1979 წელს ირანში შაჰის რეჟიმი დაემხო, არც ირანელთა უმრავლესობას სურდა ისლამური სახელმწიფო. მაგრამ ჰომეინის მომხრეებმა აღვირი ამოსდეს ტალღას და შეძლეს მისი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის. თუკი ალტერნატივა არ გამოინახება, მხოლოდ ისლამისტები დარჩებიან იმ ერთადერთ ძალად, რომელიც თანმიმდევრულ პროგრამას სთავაზობს“.

აგრარული ინსტიტუტი სუდანში

მალე სუდანში გაიხსნება მრავალპროფილიანი აგრარული ინსტიტუტი, რომლის დამფუძნებლები იეზუიტი მამები არიან. ინსტიტუტის მიზანია, ქვეყნის ახალგაზრობას სოფლის მეურნეობის წარმართვა შეასწავლოს.

„ინსტიტუტი რუმბეკიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ადგილობრივი ქრისტიანული თემის მიწაზე. ჯერჯერობით კურსი ერთწლიანია. ჩვენი კარი ღიაა კეთილი ნების ყოველი ახალგაზრდისათვის“, — ამბობს პროექტის ხელმძღვანელი, მამა ფრანჩიო ნიუგანა.

ქალაქ რუმბეკში უკვე არის იეზუიტი მამების მიერ დაფუძნებული კურსები, სადაც ახალგაზრდებს ელექტროობისა და ინფორმატიკის შესწავლა შეუძლიათ.

რამდენი კათოლიკეა დღეს მსოფლიოში?

კათოლიკე ეკლესიის ყოველწლიური ცნობარის Annuario Pontificio 2011 წლის გამოცემის თანახმად, 2009 წლისთვის კათოლიკეთა რიცხვი მსოფლიოში 1,18 მილიარდს შეადგენდა. 2008 წელთან შედარებით, კათოლიკეთა რაოდენობა 15 მილიონით გაიზარდა.

აშშ-სა და სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს კათოლიკეთა 49,5 პროცენტი ცხოვრობს, აზიაში — 10,7%, ევროპაში — 24%, აფრიკაში — 13,2%, 2,6% — ავსტრალიასა და ოკეანიაში.

კათოლიკე ეკლესიის მრევლს 5065 ეპისკოპოსი მწყემსავს. მღვდელთა რიცხვია 410 593, რაც 5000-ით აღემატება 10 წლის წინანდელ მონაცემებს.

ლიუბომირ გუზარი: „მეტად აღარ მაქვს საკმაო ძალა“

გასული წლის ბოლოს, უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესიის მეთაურმა, კარდინალმა ლიუბომირ გუზარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეკლესიის მართვას მემკვიდრეს მიანდობს. იერარქის განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. ამაზე უკვე ორი წელი საუბრობენ, მას შემდეგ, რაც კარდინალმა გუზარმა სინოდის წევრებს გაანდო თავისი გეგმები.

ამა წლის 10 თებერვალს, ლიუბომირ გუზარმა აცნობა სინოდს, რომ უწმიდესმა პაპმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა გადადგომის შესახებ. კანონიკური სამართლის თანახმად, უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესიის ახალი მეთაურის არჩევამდე, ეკლესიის მართვის სადავეები ლვოვის მთავარეპისკოპოსს, იგორ ვოზნიაკს გადაეცემა.

„დღეს, როდესაც მეტად აღარ მაქვს საკმაო ძალა, მინდა მართვა მივანდო ჩემს მემკვიდრეს, რომელიც ეფექტურად გაუძღვება იმ საქმეებს, რისთვისაც მე ვიღვწოდი; მაგრამ ეს არ არის ჩემი პირადი ღვაწლი და მე არა ვარ მისი წყარო. წყარო ეკლესიაა, ჩვენი ძალისხმევა კი ეკლესიის მსახურებისკენაა მიმართული და ვემსახურებით მას მანამ, სანამ ამის ძალა შეგვწევს“, — ამბობს იერარქი.

მემკვიდრის ვინაობა ჯერ არ არის საჯაროდ ცნობილი. ეკლესიის მეთაურის ასარჩევად სინოდი 21 მარტს შეიკრიბება.

ეკლესიის სამწყსოს ხუთ მილიონზე მეტი მორწმუნე შეადგენს. იგი მხოლოდ უკრაინის ტერიტორიით არ შემოიფარგლება, არამედ დიასპორებსაც აერთიანებს; მხოლოდ უკრაინაში 2010 წლისთვის 3597 რეგისტრირებული თემი იყო; 105 მონასტერში ათას ორას ორმოცდარვა ბერი ცხოვრობს; ეკლესიას 15 სასწავლო დაწესებულება აქვს, — მათ შორის, კათოლიკური უნივერსიტეტი, — სადაც ორი ათასი სტუდენტი იღებს განათლებას. უკრაინის ტერიტორიაზე ბერძნული წესის კათოლიკეთა სამი გამომცემლობაა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ასირიული ცენტრი
თბილისი, საქართველო
18 თებერვალი 2011

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს, მონს. ჯუზეპე პაზოტოს

ცნობისათვის:

ვატიკანის სახელმწიფო მდივანს მის მაღალყოვლადუსამღვდელოეს-ობა კარდ. ტარჩიზიო ბერტონეს

სამოციქულო ნუნციუსს კავკასიაში მის აღმატებულება მონს. კლავდიო გუჯეროტის

საერთაშორისო კარიტასის პრეზიდენტს მის მაღალყოვლადუსამ-ღვდელოესობა კარდ. ოსკარ ანდრეს როდრიგეს მარადიაგას

საერთაშორისო კარიტასის ვიცედირექტორს მ. ერნი გილენს

კ ო მ უ ნ ი კ ე

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის სამ-ღვდელოება და ბერ-მონაზვნები, შევიტყეთ რა იმის შესახებ, რომ კარიტასის თანამშრომელთა მხრიდან დაიგზა-ვნა წერილები და შეგროვდა ხელმოწერები და მხარდამჭერი წერილები,
ვალდებულად მივიჩნევთ თავს, გამოვხატოთ:

1. ჩვენი მხარდაჭერა და თანადგომა ჩვენი ეპისკოპოსისადმი და მადლიერება იმისათვის, რასაც აკეთებს;

2. ჩვენი მადლიერება საერთაშორისო კარიტასისადმი და ყველა იმათ მიმართ, ვინც ეხმარება კათოლიკე ეკლესიას საქართველოში, განსაკუთრებით კი მის კარიტასს;

3. ჩვენი აღშფოთება იმ მანიფესტაციების გამო, რაც კარიტასის თანამშრომლებისაგან მოეწყო საკათედრო ტაძ-რისა და ნუნციატურის წინ, ტენდენციური და არაზუსტი წერილების გამო, რაც დაიწერა, შეგროვილი ხელმოწ-ერების გამო, საზოგადოებრივი აზრის, განსაკუთრებით კი უპოვართა აზრის მანიპულირების გამო;

4. მოქმედების ამ მეთოდიდან გამომდინარე ჩვენი ეჭვები კარიტასის მმართველობასთან დაკავშირებით და ჩვენი კითხვები, რაც გვიჩნდება ამგვარი ქცევების ნამდვილი მოტივაციების ირგვლივ. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორ-ისო კარიტასისაგან დანიშნული კომისარი შეძლებს გამოძიებისათვის და სარეფორმოდ აუცილებელი სამუშაოს ჩატარებას;

5. სურვილი იმისა, რომ სამომავლოდ საერთაშორისო კარიტასი კითხულობდეს და ითვალისწინებდეს ადგილო-ბრივი კათოლიკე ეკლესიის შეხედულებებს;

6. ჩვენი სურვილი და უფლისადმი ვედრება, რათა საქართველოს კარიტასი იქცეს ქმედითი სიყვარულის გამოხატ-ულებად კათოლიკე ეკლესიისა საქართველოში, რომელმაც რაოდენ უპოვარიც არ უნდა იყოს თავად, ქრისტესგან მიიღო ღვთიური სიყვარულის ძალი.

ხელმოწერები



მან თქვა: „მე მსურს...“

ღვთივშეწირულთა (ბერ-მონაზონთა) დღე, 2 თებერ-ვალი, გასაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგან იგი აღინიშნება უფლის ტაძრად წარდგენის — მირქმის დღესასწაულთან ერთად. გასაგებია ის მოლოდინი და მზადება, რაც ამ ორ დღესასწაულს უძღვის წინ.

ჩვეულებისამებრ, მარიამის ზეცად აღყვანების საკა-თედრო ტაძარში წელსაც ერთად აღინიშნა ეს ორი დღე-სასწაული. ამჯერად, თქვენი ყურადღება ბერ-მონაზონ-თა დღეზე მინდა შევაჩერო.

წმ. წირვას ესწრებოდნენ საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა საბერმონაზვნო ორდენების წარმომადგენ-ლები. ამჯერად მსახურების 25 წელი და ტერეზა მათიას მიულოცეს.

სანამ თავის ქადაგებაში მთავარეპისკოპოსი კლავ-დიო გუჯეროტი მირქმის დღესასწაულის მნიშვნელობას განმარტავდა, მან და ტერეზას მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა, ბევრი თბილი და კეთილი სიტყვა თქვა მის შე-სახებ და ბოლოს იხუმრა: სუორას იმდენი დიპლომი და მოწმობა დაუგროვდა, რომ არ იცის, მათ რა მოუხერხო-სო. შემდეგ მან და ტერეზას წარმატებები და ღმრთის მფარველობა უსურვა.

იუბილარს მიესალმნენ ის ბავშვები, რომლებსაც და ტერეზა ამეცადინებს კატეხიზმოში. ბავშვებმა საყვა-რელ ადამიანს ყვავილები მიართვეს და დიდი სითბოც გამოხატეს მის მიმართ.

ბოლოს და ტერეზამ მოკლედ ისაუბრა თავის მოწო-დებაზე, რომ ძალიან ბედნიერია იმით, ღმერთს რომ ემსახურება. ამ დროს გვერდით მჯდომმა ქალბატონმა გადმომილაპარაკა: პეტრე-პავლეს ეკლესიას „ტერეზებ-ში“ ძალიან უმართლებსო; ნათქვამს მივუხვდი.

საქმე ის გახლავთ, რომ და ტერეზა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში ეწევა მსა-ხურებას. ვიცი, თუ როგორ თავდადებულად მუშაობს ის ბავშვებთან და მოზარდებთან; ამიტომ თავი ვალდე-ბულად ჩავთვალე, გავსაუბრებოდი მას, რათა „საბას“ მკითხველს უფრო ვრცლად შეეტყო სუორა ტერეზას შესახებ.

ტერეზა მათია დაიბადა 1961 წელს, პოლონეთში, მორწმუნეთა ოჯახში. ბავშვობა გაატარა ჩენსტოხოვო-ში; ჰყავს ხუთი და-ძმა. მშობლებმა და და-ძმებმა დიდი როლი ითამაშეს მისი არჩევანის განხორციელებაში. ტე-რეზა ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული საეკლესიო ცხოვრებაში. იგი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა სალე-ზიელთა ორდენს, ყველაფერი იცოდა წმ. იოანე ბოსკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დაახლოებით 15 წლის ასაკში იგრძნო, რომ ღმერთი იხმობდა, მაგრამ მშობლებმა მას სწავლის შეწყვეტის ნება არ დართეს (მა-შინ იგი მე-8 კლასში იყო), და მანაც დაუჯერა მათ (ახლა თვლის, რომ სწორად მოიქცა). საფეიქრო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი თავისი სპეციალ-ობით იმუშავა. იმ დროს იგი უკვე 21 წლისა იყო. მაშინ კვლავ იგრძნო, რომ ღმერთი უხმობდა თავისთან.

1982 წლის 7 ოქტომბერს ტერეზა სალეზიელთა ორ-დენის წევრი გახდა. შემდეგ კი დაამთავ-რა ლუბლინის (რომის ფილიალი) კულტუ-რის ინსტიტუტი.

1986 წლის ხუთ აგ-ვისტოს დადო პირვე-ლი აღთქმა. მას შემ-დეგ 7 წელი იმსახურა პოლონეთის სხვადას-ხვა სამრევლოებში. ტერეზას ძირითადად ბავშვებთან და მო-ზარდებთან უხდებო-და ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოს-ტსაბჭოურმა რესპუბ-ლიკებმა მოითხოვეს, რომ მათთან კათოლიკე მღვდლე-ბი და მონაზვნები გაეგზავნათ. ასე მოხვდა და ტერეზა ქ. ოდესის კათედრალურ ტაძარში, სადაც მან 10 წელი დაჰყო. აქ ის პირველად იყო და საკმაოდ ბევრ სიძნე-ლესაც წააწყდა. სამუშაოც ბევრი ჰქონდა: კატეხეზები, ორატორიუმები, მზადება პირველი ზიარებისათვის და სხვა.

მას, როგორც გამორჩეულ მონაზონს, სასწავლებლად აგზავნიან ქ. ვროცლავის თეოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც ის სამი წელი სწავლობდა.

...და ისევ სწრაფვა სულიერი ზრდისაკენ: ამჯერად ერთი წელი სწავლობდა იტალიაში, ურბინოს უნივერსი-ტეტში, სადაც დაამთავრა მისიოლოგიის ფაკულტეტი; ერთი წელი ისწავლა რომის სალეზიელთა პაპის უნივერ-სიტეტში. ამის შემდეგ სამი წელი ისევ პოლონეთში ეწე-ოდა მსახურებას.

და ტერეზა თბილისში 2008 წლის ივლისში ჩამოვიდა, სწორედ ომის დაწყების წინ. ის მრავალ სიძნელეს წა-აწყდა, მაგრამ არ შეშინებია. ბავშვებთან ერთად, თით-ქმის ყოველდღე დადიოდა ლტოლვილებთან, რომლებიც იმ დროს დასახლებულნი იყვნენ გლდანის ოლიმპიურ ცენტრში.

ამჟამად და ტერეზა მუშაობს როგორც პატარებთან, ასევე მოზრდილებთანაც. მას თხუთმეტამდე ბავშვი ჰყავს. ის არასდროს ღალატობს პრინციპს: დაიცვას ბავ-შვები ცოდვისაგან, ჩამოაყალიბოს მათგან ჯერ ადამი-ანი, შემდეგ მოქალაქე და ქრისტიანი.

გარეშე თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია, თუ რო-გორი დამოკიდებულება აქვს მას ბავშვებთან (ამდენი დიპლომი თავის საქმეს აკეთებს!), ბავშვების მხრიდან კი, მასთან ურთიერთობაში, სიყვარულის გარდა, დიდი მოკრძალებაც იგრძნობა.

ისღა დაგვრჩენია, სუორა ტერეზას შემდგომი წარმა-ტებები ვუსურვოთ.

ნადია ჩიტაძე

სიცოცხლე მშვენიერია

2011 წლის 23 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით, სიცოცხლის დღეებთან დაკავშირებით, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში მოეწყო გამოფენა თემაზე: „აირჩიე სიცოცხლე“. გამოფენის ინიციატორები იყვნენ ინერ-საქართველოს საოჯახო პასტორალური კომისიის კოორდინატორები: მამა მაჩეი მამაი, ოჯახის ბუნებრივი დაგეგმარების ექსპერტი ნანა ნებიერიძე და მეთოდისტი ნინო ჟღენტი.

საქართველოში ამ სასიკეთო საქმეს — ოჯახის ბუნებრივი დაგეგმვის მეთოდს საფუძველი ჩაუყარეს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ და მონაზონმა ანა მარია კრიველარიმ.

კარგად მახსოვს საოჯახო პასტორალური კომისიის სტუმრობა ჩვენს ეკლესიაში 2000 წელს და ქალბატონ ლალი ჩარკვიანის ლექციები. როგორც ჟურნალ „საბას“ სტატიებიდან ვიცით, შემდეგ ეს კომისია ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, გაფართოვდა, უფრო კომპეტენტური და პროფესიონალური გახდა. მას ჩატარებული აქვს უამრავი შეხვედრა, გამოფენა, კონფერენცია და სხვადასხვა ღონისძიება; მისი წევრები იღებენ სტუმრებს უცხოეთიდან და თვითონაც სტუმრობენ სხვებს.

23 იანვარს, წირვის დასრულების შემდეგ, ქალბატონებმა ნანა ნებიერიძემ და ნინო ჟღენტმა ეკლესიაში შეკრებილ მრევლს მოკლედ უამბეს ქუთაისში დაფუძნებული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს და ერის გამრავლებას ემსახურება; რომ მისმა მესვეურებმა ბევრ ახალგაზრდა მომავალ დედას გადააფიქრებინეს აბორტის გაკეთება. მათ ასევე ისაუბრეს გამოფენის არსსა და მის მნიშვნელობაზე და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ შეგვახსენეს აბორტის, როგორც ზნეობრივი ბოროტების, შესახებ; რომ ჩვენი მოვალეობაა (მიუხედავად ასაკისა და სქესისა), წინ აღვუდგეთ ამ საშინელ ცოდვას.

მომდევნო კვირას, 30 იანვარს, ჩატარდა კონფერენცია აბორტის შესახებ; მამა მაჩეიმ დამსწრეთ გააცნო სტატისტიკური ცნობები, თუ რა მდგომარეობაა აბორტების მხრივ მთელ მსოფლიოში. სტატისტიკა ვითომ დამაიმედებელია, მაგრამ არა საქართველოში.

ქ-ნმა ნანა ნებიერიძემ ისაუბრა ინერ-საქართველოს საქმიანობაზე, როგორც ქუთაისში, ისე მთელ საქართველოში, რომ ეს ორგანიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ აბორტის ამკრძალავი პროპაგანდით. მისი წევრები ყოველგვარ დახმარებას უწევენ უმწეო და მარტოხელა ოჯახებს. მან გულისტკივილით აღნიშნა ექიმის მისაღებში აბორტის მსურველ გოგონათა რიგების ფაქტები. მან ასევე ისაუბრა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ოჯახის ბუნებრივი დაგეგმვის“ მეთოდს და როგორ ამართლებს იგი, თუ ქალი პასუხისმგებლობით მოეკიდება მას. აღსანიშნავია, რომ სპირალი აავადებს ჯანმრთელ ორგანიზმს, ასევე უარყოფითად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე ყველა სახის ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და კონტრაცეპტული საშუალებები.

კონფერენციაზე გაიხსენეს, თუ რა დიდ დახმარებას უწევენ პოლონელი მეგობრები ამ ორგანიზაციას. რად ღირს თუნდაც ეს მაღალი დონის გამოფენა; ასევე, ის ლამაზად გაფორმებული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ბუკლეტები, რომლებიც ხელმისაწვდომია ტაძარში შემოსული ყოველი მსურველისათვის.

ქ-ნმა ნანამ ამომწურავი პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებს.

მრევლი კმაყოფილი დარჩა მომხსენებელთა მომზადების დონით, მათ უსურვეს შემდგომი წარმატებები ამ სასიკეთო საქმეში, და რომ მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს მათთან თანამშრომლობით.

P.S. გამოფენის შემდეგ, გადავათვალიერე შთაბეჭდილებათა წიგნი: მადლობები, დადებითი შეფასებები და მოწოდებები ქალებისადმი – არ გახდნენ მკვლელები.

ნადია ჩიტაძე

დიდი მადლობა, მამა პავლე

რამდენი კეთილი ადამიანი არსებობს ჩვენს ირგვლივ, მათი გული მუდამ სავსეა სხვების დახმარებისა და მხარში ამოდგომის სურვილით, ისინი ყოველთვის მზად არიან, ემსახურონ მათ და ხელი გაუმართონ საჭიროების შემთხვევაში.

ამ მოკრძალებული წერილით მე, როგორც ვალეს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა და გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების მუდამ გულშემატკივარმა, მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო მამა პავლე დილს, რომელმაც უდიდესი საჩუქარი გაუკეთა ჩვენს საავადმყოფოს: გადმოგვცა ექოსკოპიის აპარატი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი დახმარებაა მთლიანად ვალესა და მისი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ხალხი მეტად გაჭირვებულ პირობებში ცხოვრობს და საჭიროებს დახმარებას.

ძვირფასო მამა პავლე, საავადმყოფოს მედპერსონალისა და ვალეს მოსახლეობის სახელით, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით. ღმერთი იყოს თქვენთან ყველგან და ყოველთვის, დაე, სულიწმინდის ძალამ გაგაძლიეროთ და მისი კალთა ფარავდეს თქვენს თითოეულ ნაბიჯს.

მერი ხაბეიშვილი

ვასილ თამარაშვილი

ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ცნობილია, რომ ახალციხის რაბათში ცხოვრობდა პეტრე და გაიანე თამარაშვილების მრავალრიცხოვანი ოჯახი, სადაც, ათ და-ძმასთან ერთად, იზრდებოდა შემდგომში ქართველი კათოლიკე მოძღვარი, გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მოჭირნახულე და მკვლევარი, პროფესორი მიხეილ თამარაშვილი. ვასილ თამარაშვილი მიხეილის უფროსი ძმის — სოლომონის ვაჟი იყო. ამჟამად ჩვენი მიზანია, ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ მიხეილ თამარაშვილის ოჯახის ერთი ღირსეული წარმომადგენლის, მუსიკოსისა და ცნობილი გამომგონებლის, ვასილ თამარაშვილის მოღვაწეობის შესახებ.

ვასილ სოლომონის ძე თამარაშვილი დაიბადა 1883 წლის 21 იანვარს, ქ. თბილისში. ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილმა ვასილმა თავისი წინაპრებისაგან შეისისხლხორცა ქართული კულტურის, კერძოდ, მუსიკის სიყვარული და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ყოველგვარი აფიშირების გარეშე, ემსახურებოდა თავის ერს.

1908-1911 წლებში ვასილმა გაიარა რუსული საიმპერატორო საზოგადოების, თბილისის მუსიკალური სასწავლებლის მუსიკის თეორიის სპეციალური კურსი, სამხედრო ორკესტრის დირიჟორის — კაპელმეისტერის განხრით. მუსიკალური თეორიის კურსს თვით დიდი ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა: „ბეჯითი, მუყაითი, თავისი დარგის კარგი სპეციალისტი“, — ასე ახასიათებდა ბატონი ზაქარია თავის მოწაფეს.

მდიდარი ფანტაზიითა და მუყაითობით გამორჩეული ვასილი მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან შეუდგა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლას. იგი იღვწოდა, რათა შეექმნა ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების ორკესტრი. ამ მიზნის მისაღწევად ვასილ თამარაშვილმა, პირველმა ქართველ მუსიკოსთა შორის, დიდი მუშაობა გასწია სრულყოფილი ინსტრუმენტების შექმნისა (ინსტრუმენტების კონსტრუირება, მათი მასალისა და სიმების დამუშავება-შერჩევა და სხვ.) და მათი გარეგნული დახვეწისათვის. მიზნის მისაღწევად ვასილი ეყრდნობოდა ქართული სიმღერის სამხმოვანებას, რომელიც მან ინსტრუმენტებზე გადაიტანა. მაგალითად, ექვს ხმად შემუშავებული ჩონგურის ანსამბლში მან ძირითადად სამი ხმა აიღო: დამწყები, მოძახილი და ბანი. შემდეგ ისინი ოქტავებში გააორა და მიიღო სრულიად ახალი, ექვსი სხვადასხვა ზომისა და ბგერის ჩონგური: კრინი, თქმა, დამწყები ანუ ზილი, მოძახილი, ბანი (ქართული ჩელო) და ჩანგური დვრინი (ქართული კონტრაბასი).

ვასილმა, ასევე, კლასიკური ხმოვანება მისცა ქართულ გუდასტვირსაც, თუმცა გარეგნულად მას ქართული ტრადიციული ფორმა და სტილი შეუნარჩუნა.

ქართული ხალხური მუსიკალური ორკესტრის შესაქმნელად ვასილმა კლასიკური სიმფონიური ორკესტრის ჟღერადობის ძირითადი პრინციპები გამოიყენა. ქართველ მუსიკოსთა შორის, ვასილ თამარაშვილი პირველი იყო, ვინც ხალხური საკრავები სანოტო სისტემაზე გადაიყვანა.

1930-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ინსტრუმენტების შექმნისა და დახვეწის პრაქტიკული სამუშაოები, შემდეგ კი ყოველივე დაგვირგვინდა ორკესტრის შექმნით, რომლის ხელმძღვანელიც თავად ვასილ თამარაშვილი იყო. ამისათვის კი საჭირო გახდა შესაბამისი რეპერტუარის შექმნა და ნაწარმოებთა შესრულება ორკესტრის თანხლებით.

ორკესტრი ასრულებდა როგორც ქართულ ხალხურ, ისე ქართველ და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ვასილის მიერ ორკესტრისათვის არანჟირებული 12 სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურა.

ვასილმა თავისი ორკესტრის უკეთ ჟღერადობისათვის მიიღო იმ დროისათვის თამამი გადაწყვეტილება: ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების გარდა, ორკესტრში გამოიყენა საყვირი, ხის „ბარაბანი“, სამკუთხედი (ფრანგული), სატკაცუნო, ფლეიესტონი, კასტანეტი (ესპანური), გუგული, ბულბული და სხვა, რამაც უფრო გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ორკესტრის ჟღერადობა. თუმცა, იმხანად მუსიკალური საზოგადოების ფართო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა იყო: იყვნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც; ამ უკანასკნელთა აზრით, ორკესტრი არ იყო მთლიანად ეროვნული ინსტრუმენტებით დაკომპლექტებული, რის გამოც ვასილს არაეროვნულობაში დებდნენ ბრალს. მომავალმა გვიჩვენა, რომ ასეთი ორკესტრის არსებობა იმ პერიოდშიც კი სავსებით გამართლებული იყო. ამის ნათელი დასტურია ვასილ თამარაშვილის მოწაფის, კირილე ვაშაკიძის მიერ კიდევ უფრო დახვეწილი ინსტრუმენტების ბაზაზე შექმნილი ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების ორკესტრი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ. ამ ყოველივეს პიონერი და ორგანიზატორი კი ვასილ თამარაშვილი იყო.

ცხოვრებამ დაგვანახა, რომ დღეს, XXI საუკუნეში, პრაქტიკულად ხორციელდება ქართული და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების შერწყმა. ასეთი მაგალითები მრავლადაა: ანსამბლი „შინ“, სახელმწიფო ანსამბლები: „სუხიშვილები“ და „ერისიონი“ და სხვა მრავალი, რომლებიც, ცეკვისა თუ სიმღერის აკომპანიმენტის დროს, თამამად იყენებენ სხვა „არაქართულ“ მუსიკალურ ინსტრუმენტებს (გიტარა, ელ. გიტარა, ბას-გიტარა, დასარტყმელი ინსტრუმენტები და სხვა), რომლებიც ამდიდრებენ და ალამაზ-

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ. ებენ მუსიკალური ნაწარმოების ჟღერადობას. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ვ. თამარაშვილის მიერ სხვადასხვა ინსტრუმენტების ჩართვა ქართული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრში ნამდვილი მუსიკალური რევოლუციის ტოლფასი იყო.

რეკონსტრუირებული ინსტრუმენტებით დაინტერესდა საკავშირო მუსიკალური საზოგადოებაც. კულტურის სამინისტროს დაკვეთით, ვ. თამარაშვილმა დაამზადა მის მიერ გაუმჯობესებული ინსტრუმენტის თერთმეტი სხადასხვა სახეობა, რომელიც 1937 წელს გადაეცა საკავშირო ხალხური შემოქმედების სახლს (ქ. მოსკოვი). შემდეგ ეს ინსტრუმენტები გამოიფინა და დღემდე დაცულია მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმში (ქ. სანკტ-პეტერბურგი). ამ ინსტრუმენტებისა და მათი შემქმნელის შესახებ ცნობები შეტანილია 1963 და 1975 წლის „სსრკ ხალხთა მუსიკალური ინსტრუმენტების ატლასის“ მეორე გამოცემაში და 1973-1982 წლებში გამოცემული „მუსიკალური ენციკლოპედიის“ აკადემიურ გამოცემაში (ქ. მოსკოვი, მთ. რედაქტორი აკად. ი. კელდიში).

ვასილმა დიდი მუშაობა გასწია ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში. მან თეორიულად დაამუშავა და გამოსცა შემდეგი ნაშრომები: „ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტებისაგან შემდგარი თვითმოქმედი ორკესტრის შექმნის მეთოდიკა“, „თვითმასწავლებელი ჩონგურისათვის“, „თვითმასწავლებელი სამლერწმიანი გუდასტვირისათვის“. მის მიერაა შემუშავებული მეთოდი, თუ როგორ უნდა წაეკითხათ მხატვრულად უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ქართული ხალხური მუსიკალური ნაწარმოების თანხლებით.

1932-1936 წლებში ვ. თამარაშვილის მოღვაწეობის საარქივო მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ხოლო მის მიერ რეკონსტრუირებული გუდასტვირი ექსპონირებულია საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ვასილ თამარაშვილმა პირველმა შექმნა ნოტების საბეჭდი მექანიკური მანქანა, რომელიც, სანოტე ნიშნებთან ერთად, ბეჭდავდა ლიტერატურულ ტექსტს ხუთ ენაზე. ეს იდეა მას ბავშვობიდან გაუჩნდა და მის განხორციელებას მან ორი ათეული წელი მოანდომა. 30-იანი წლების დასაწყისში ვასილმა მიაღწია იმას, რომ



საკავშირო სახალხო კომისარიატმა გამოყო შესაბამისი თანხა ნოტების საბეჭდი მანქანის დასამზადებლად. 1936 წელს ამ აპარატის საცდელი ეგზემპლარი უკვე მზად იყო. საქართველოში მოწონებული მანქანა მან მოსკოვში წარადგინა, სადაც მისმა გამოგონებამ საგანგებო კომისიის მოწონება დაიმსახურა და აპარატი სერიული წარმოებისათვის გადაეცა ლენინგრადის ოლქის ქ. ლიგოვას ერთ-ერთ მექანიკურ ქარხანას. საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით, ეს მანქანა მთელ მსოფლიოში უნდა გავრცელებულიყო.

სერიული წარმოების მოსამზადებლად რამდენიმე წელი გავიდა. სამწუხაროდ, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ეს უნიკალური მანქანაც ქარხანასთან ერთად დაიბომბა.

მტკიცე ხასიათის მქონე ვასილი არ შეუშინდა საქმის თავიდან დაწყებას, თუმცა იცოდა, რომ ბევრი სიძნელის გადალახვა დასჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მიზანს მაინც მიაღწია — 1956 წლისათვის უკვე შექმნილი იყო მანქანის ახალი ვარიანტი, მაგრამ მისი სერიული წარმოება ვეღარ მოხერხდა, რადგან, სამწუხაროდ, ვასილი მალე გარდაიცვალა. დღეისათვის არსებობს ამ გამოგონების პატენტი, თუმცა კომპიუტერულ ეპოქაში მან აქტუალობა დაკარგა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვასილი იყო ზაქარია ფალიაშვილის მოწაფე, შემდგომში მათი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. ის ასევე მეგობრობდა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილთან და კოტე მარჯანიშვილთან, რომლის სპექტაკლების პრემიერაზე იგი ყოველთვის ოჯახთან ერთად იყო მიწვეული.

ვასილ თამარაშვილი გარდაიცვალა 1957 წლის 7 აპრილს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოს პანთეონში.

ნოდარ ხითარიშვილი

იდეა ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის – 8 მარტის აღნიშვნისა 100 წლის წინათ დაიბადა?

8 მარტის დღესასწაულის წარმოშობაზე არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. XX საუკუნის დასაწყისში მუშათა და სოციალისტთა მოძრაობა სრულიად განსხვავებული თარიღებით აღნიშნავდა დღეს, რომელიც ეძღვნებოდა ქალთა უფლებებისა და მათი საარჩევნო უფლებების დაცვას; ამიტომაც 8 მარტის დღესასწაულის აღნიშვნა მემარცხენე სოციალ-კომუნისტთა წიაღში გაჩენილ ფემინისტებს უნდა დავუკავშიროთ. ევროპის ზოგ ქვეყანაში ამ დღის დასაბამს ერთ მძიმე ფაქტს უკავშირებენ: ეს შემთხვევა 1908 წელს, აშშ-ში, კერძოდ, ნიუ-იორკში, 8 მარტამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა: საფეიქრო ფაბრიკის მუშები, რომელთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, პროტესტის ნიშნად გაიფიცნენ. გაფიცვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ვიდრე 8 მარტს, ფაბრიკის მეპატრონემ, ბ-ნმა ჯონსონმა, შენობის ყველა გასასვლელი არ გადაკეტა; მერე კი მას ცეცხლი წაუკიდა (იმასაც ამბობდნენ, რომ ხანძარი შემთხვევით გაჩნდა), რის შედეგადაც იქ გამომწყვდეული ას ოცდაცხრა ქალი ცოცხლად დაიწვა.

სინამდვილეში ხანძარი ნიუ-იორკში, საფეიქრო ფაბრიკაში (Triangle Shirtwaist Company) 1911 წელს მოხდა. ქალები გაფიცვაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მის მობილიზებაში, რომელიც ოთხ თვეს გაგრძელდა. ხანძარი არ იყო განგებ მოწყობილი და მას სულ ას ორმოცი ადამიანი ემსხვერპლა, მაგრამ არა მხოლოდ ქალი. ამ სამწუხარო ამბიდან სულ მალე, ფაბრიკაში ხანძრის შედეგად დაღუპული ქალების მოსაგონებლად, ამერიკაში დაიწყეს ამ თარიღის აღნიშვნა. მოგვიანებით, ეს ინიციატივა აიტაცა და გაავრცელა ქალთა შრომითი და სოციალური პირობების დამცველმა ქალთა მოძრაობამ; ამდენად, 8 მარტის თარიღმა მსოფლიო დანიშნულება შეიძინა და, ფემინისტური ასოციაციების წყალობით, იმ ჩაგვრის სიმბოლოდ იქცა, რასაც საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა ქალი.

წერილის სათაურში დასმულ კითხვას სხვა პასუხიც გააჩნია, რომლის მიხედვითაც იდეა ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღნიშვნისა 1910 წლიდან დაიწყო კოპენჰაგენში, I ქალთა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, გავლენიანი გერმანელი სოციალისტის, კლარა ცეტკინის ინიციატივით. 50-იან წლებში მოღვაწე ფრანგი ფემინისტები კი აცხადებდნენ, რომ ქალთა დღე დაწესდა ნიუ-იორკში 1857 წლის 8 მარტს, როდესაც, მუშათა აუტანელი სამუშაო პირობების გამო პროტესტის ნიშნად, ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალები გაიფიცნენ. მათი პროტესტის მიზეზი ძალზე მწირი ხელფასი და გაუსაძლისი სამუშაო პირობები იყო. ქუჩაში გამოსული გაფიცული ქალები პოლიციის მიერ იქნა დარბეული.

სინამდვილეში, ერთადერთი სარწმუნო თარიღი გახლავთ 1917 წლის 8 მარტი, როდესაც პეტერბურგში პროლეტარმა ქალებმა მანიფესტაცია მოაწყვეს საკვების უკმარისობის გამო.

სიმბოლო: მიმოზა

8 მარტის დღესასწაულის სიმბოლოდ იქცა ყვავილი მიმოზა. სადავოა, თუ რატომ დადგინდა იგი ქალთა დღის ემბლემად. როდესაც იტალიაში ომის შემდეგ პირველად უნდა აღენიშნათ 8 მარტი, იტალიის ქალთა კავშირის წინაშე დადგა პრობლემა, რომელი ყვავილი აერჩიათ ამ დღის სიმბოლოდ: წითელი მიხაკი მუშათა დღესასწაულის, ანუ პირველი მაისის სიმბოლო იყო და აქტიურად გამოიყენებოდა, განსაკუთრებით, ფაშიზმის წლებში, როცა მისი დამაგრება საღილეში ერთგვარი მინიშნება გახლდათ, თუნდაც სარისკო. ახალგაზრდა რომაელ ქალბატონებს აშკარად მოეწონათ ყვითელი, მძაფრსუნიანი ყვავილი, რომელიც გამორჩეოდა იმით, რომ სწორედ იმ პერიოდში ყვაოდა და არც ძვირი ღირდა! უკვე აღარავინ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მიმოზა, როგორც სიმბოლო, უშუალოდ ნიუ-იორკში, 1911 წელს მომხდარ მოვლენას უკავშირდება, იმ მიზეზით, რომ ის ფაბრიკის შემოგარენში გახარებული, ხანძრისაგან დაზიანებული ერთადერთი ყვავილი იყო, და რომ ამ ყვავილით შეამკეს გარდაცვლილ მუშათა საფლავები.

უფრო მისაღებია მიმოზის სიმბოლოდ შერჩევის შემდეგი ორი მოტივი: პირველი ის, რომ წლის ამ პერიოდში ძალზე ცოტა სახეობის ყვავილი თუ ყვავის, და მეორე — მიმოზის დაბალი ფასი; ამდენად, მიმოზის შერჩევას სულაც არ ჰქონია იდეოლოგიური, ან სხვა რაიმე მნიშვნელობა. ეს სრულიად უბრალო და შემთხვევითი არჩევანი გახლდათ, მაგრამ მას არნახული წარმატება მოჰყვა და მიმოზა დღემდე ითვლება ამ დღესასწაულის სიმბოლოდ.

ზოგნი ფიქრობენ, რომ დღევანდელი დღესასწაული საკმაოდ დაშორდა თავის თავდაპირველ არსს. უმრავლეს შემთხვევაში, ამ დღეს ქალთა მდგომარეობაზე ფიქრობენ და მსჯელობენ, ვიდრე კონკრეტულად ეხმარებიან მათ; მაშ, როგორ მოვიქცეთ, გავაუქმოთ ეს დღესასწაული? ბოიკოტი გამოვუცხადოთ მას? ეს აუცილებელი არაა; დიდია ქალის როლი და თავად ქალის არსებობა, თავისი თვითმყოფადობით, უმნიშვნელოვანესია; ქალი ცენტრალური და შეუცვლელი ფიგურაა ოჯახში, საზოგადოებაში, ეკლესიაში, და განსაკუთრებით, მამაკაცის ცხოვრებაში; განა შეიძლება ვისაუბროთ ქალზე და იქვე მამაკაცი არ გავიხსენოთ? ნამდვილად გაგვიჭირდება ერთზე საუბარი მეორის გარეშე, რამდენადაც ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი; ერთის უპატივცემლობა გულისხმობს მეორის უპატივცემლობას.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ ეს დღე არ უნდა ჰგავდეს ერთ რიგით დღეს; ამ დღეს უნდა დავფიქრდეთ და ვიმსჯელოთ ქალის მდგომარეობაზე დღევანდელ მსოფლიოში, ანუ ყველა იმ საკითხზე, რაზეც ღიად ისაუბრებენ კარაკასში (ვენესუელა), სადაც ქალთა მსოფლიო კონფერენცია ჩატარდება (4-8 მარტს).

ქალებო, მხნედ!

მათთვის ცხოვრება ბრძოლაა იმ მთავრობის წინააღმდეგ, ვინც რელიგიას ომის იარაღად იყენებს, ვისაც სურს, დაიმონოს და უსიტყვო მორჩილებად აქციოს ისინი; ბრძოლაა იმ საზოგადოების წინააღმდეგ (მექსიკიდან კონგომდე), რომელიც ლაფში სვრის მათ სხეულსა და სულს. ბირმის სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ (ცნობილი ფაქტია, რომ მშვიდობის საკითხებში ნობელის პრემიის ლაურეატმა, აუნგ სან სუუ კიიმ პრემიის სახით მიღებული თანხა ბირმაში სანიტარული და საგანმანათლებლო სისტემის მოწესრიგებას მოახმარა. მას შემდეგ, რაც სამხედრო ხუნტის მიერ თავდაცვის ნორმატივების დარღვევის გამო სამწლიანი იძულებითი სასჯელი მოიხადა, 2010 წლის 13 ნოემბერს იგი გაათავისუფლეს; მისთვის, 1989 წლიდან მოყოლებული, ეს დაჭერების ბოლო სერია იყო. ეს გაბედული ქალბატონი, იმ ქვეყანაში, სადაც ქალი მუდმივად ხდება სამხედროების მხრიდან ძალადობის სამიზნე, არა მხოლოდ ბირმის სიმბოლოდ, არამედ მსოფლიოს ამ ჩაგრული ნაწილის სიმბოლოდ იქცა) და მსოფლიოს ყველაზე ძლიერი დიქტატორული ქვეყნის — ჩინეთის წინააღმდეგ; მათ არ ეშინიათ. ინდოეთში ჰესის წინააღმდეგ გამოდიან, რადგანაც „დოლარები უვარგისია საჭმელ-სასმელად“ (აქტივისტ მედჰა პატკარის ციტატა), კენიაში მშვიდობის ხეების სახელით იბრძვიან (ვანგაარი მათაი პირველი აფრიკელი ქალი ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, 2004 წ., ბიოლოგი, რომლის აზრითაც „მსოფლიო მშვიდობა დამოკიდებულია გარემოს დაცვაზე“, იგი იბრძვის ქალთა უფლებების დასაცავად, რამაც მრავალი აქტივისტი მიიზიდა; მან ასევე შეძლო, ერთმანეთთან შეერწყა მეცნიერება და დემოკრატიული შრომა).

ქალები უშიშრად იცვამენ შარვლებს სუდანში. სიცოცხლის ფასად იცავენ დედობის უფლებას ზამბიასა და ჩინეთში. ცდილობენ, ატარონ ავტომობილი, ან მამაკაცთა თანხლების გარეშე გადალახონ საუდის არაბეთი. მათი მტერი ყოველთვის უსამართლობა და ძალადობაა; თუმცა ბრძოლის ფორმები უამრავია. ყოველი მათგანი საფრთხეში იგდებს სიცოცხლეს, რათა ერთ მშვენიერ დღეს სხვა ქალებმა ისარგებლონ მისით. ყველა ესენი ახალი ათასწლეულის გმირები არიან: ქალები, რომლებიც ქედს არ უხრიან მათ წინააღმდეგ ამხედრებულ საზოგადოებას. გმირი მამაკაცებისგან განსხვავებით, როდესაც ქალები ადამიანის უფლებების დასაცავად გამოდიან, დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის იბრძვიან, პირველ რიგში, ისინი თავიანთი თავისა და თავიანთი შვილების გადსარჩენად იბრძვიან.

ნატალია ესტემიროვა

Amnesty International-ის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში ყოველი მესამე ქალი განიცდის ძალადობის ამა თუ იმ ფორმას. შემაშფოთებელია ისიც, რომ ეს უშიშარი ქალები ძალზე ხშირად მარტონი იბრძვიან. 2009 წლის 15 ივლისს, გროზნოში (ჩეჩნეთი) გარდაიცვალა ნატალია ესტემიროვა, ჟურნალისტი, რომელიც იძიებდა რამზან კადიროვის მიერ კრემლის ბრძანებით ჩადენილ საშინელ დანაშაულს. იგი მეგობარი და ერთგვარი მემკვიდრე გახდა ანა პოლიტოვსკაიასი, ადამიანის უფლებათა დამცველის, რუსეთის პრემიერის, ვლადიმერ პუტინის შეურიგებელი მტრისა, რომლის რეჟიმმაც 2006 წელს სამუდამოდ დაადუმა მისი ხმა. ნატალია არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ წევრი იყო, რომელიც ყოფილი საბჭოეთის მრავალ ქვეყანაში სამოქალაქო უფლებებს იცავდა. ეს ორგანიზაცია კიდევ ერთი ქალბატონის, ადვოკატ ლიდია უსუპოვას მიერ იყო დაფუძნებული; დღეს მასაც სიკვდილი ემუქრება. „კონფლიქტების დროს, როდესაც ჩეჩნეთში ათასობით მამაკაცი იღუპებოდა, ქალები საკუთარ თავზე იღებდნენ უმნიშვნელოვანეს პასუხისმგებლობას, რის გამოც ახლა მრავალი აქტივისტი ქალია. ამიტომაც კადიროვს, ეყრდნობა რა, მაგალითად,

რაბიია კადირი

პოლიგამიას და კრძალავს ევროპულად ჩაცმას“, სურს, „თავიანთ ადგილზე“ დასვას ისინი, – გვიხსნის ტანია ლოკშინა, რუსეთში Human Rights Watch-ის ვიცე-დირექტორი.

62 წლის რაბიია კადირი, „უიგურების დალაი ლამა“ (ჩინური დიქტატურის მიერ დევნილი ეთნიკურად თურქმენი ჩინელები), ტყვეობის შემდეგ, 2005 წლიდან გადასახლებაში იმყოფებოდა, მას სჯიდნენ, როგორც საშიშ რეჟისორს, რომელმაც ივლისის სისხლიანი გადატრიალების ამსახველი კადრები გადაიღო. იმავე დღეებში ჩინელი რეჟისორები მელბურნის ფილმების ფესტივალს პროტესტს უცხადებდნენ, ხოლო ჰაკერები საიტს ბლოკავდნენ: ეს იყო პეკინის შურისძიება, რაკიღა ორგანიზაციამ უარყო მისი მოთხოვნა, არ ეჩვენებინათ კადირის შესახებ ჯეფ დანიელის რეჟისორობით გადაღებული ფილმი — „სიყვარულის ათი მცნება“.

მუ სოჩუა

მუ სოჩუა კამბოჯას პარლამენტის ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი გახლავთ; იგი 2005 წელს წარდგენილი იყო ნობელის მშვიდობის პრემიაზე, რადგანაც მან 2004 წლიდან ღია ბრძოლა გამოუცხადა პრემიერ-მინისტრს, ჰუნ სენს. მუ სოჩუა მდიდარ ოჯახში დაიბადა. როდესაც კამბოჯა ომის სარბიელად იქცა, ოჯახმა შვილი პარიზში გაგზავნა. სოჩუა 18 წლის მანძილზე ცხოვრობდა მშობლიურ კერას მოშორებული და არასდროს უნახავს თავისი მშობლები, რომლებიც მთავრობამ ბნელ უფსკრულში გადაისროლა. სამშობლოში დაბრუნებული სოჩუა 1989 წელს აარსებს ქვეყანაში პირველ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციას, „ხემარას“ და იწყებს ბრძოლას ქალთა უფლებების დასაცავად. 1998 წელს შედის პარლამენტში და ქალთა მინისტრად ინიშნება იმ ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის დრამატულად დაბალი მაჩვენებელია ქალებში. მინისტრის პოსტი მან 2004 წელს დატოვა, რადგანაც მთავრობა კორუფციაში ამხილა და ოპოზიციურ პარტიას შეუერთდა; აქედან მოყოლებული, იგი კამბოჯას ყველაზე მიუვალ ადგილებს სტუმრობს და ეცნობა ელექტორატს. „მჯერა, რომ ბირმას და კამბოჯას

მსგავი პრობლემები აქვთ, მიუხედავად იმისა რომ ინტენსიურობით განსხვავდებიან“, — განმარტავს სამ რაინსი, ოპოზიციის ლიდერი, — „ნებისმიერი დიქტატურის დროს უმცირესობათა უფლებები და ასევე ქალების უფლებები დაუცველია. ქალი ყველა ბრძოლაში ვერძის თავი ხდება, დემოკრატიისა და ადამიანთა ღირსების სახელით“.

სწორედ სასტიკი დისკრიმინაციის გამო, რასაც მატყუარა რელიგიური დიქტატურა ახორციელებდა, გაიარა მწვანეში გამოწყობილმა ათასობით ქალმა ირანის ქუჩები 2009 წლის ივლისში, როდესაც მაჰმუდ აჰმად ინეჯადიმ ცბიერი ხერხებით მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. ისლამურ ქვეყნებში, რომელთა რიცხვი 60-ზე მეტია, აქტივისტი ქალები ძალებს არ იშურებენ ქალთა უფლებების დასაცავად, ეს კი მათ მუდამ აპირისპირებს ქვეყნის ლიდერთან. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ნედა, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ბასიჯებმა მოკლეს; „online“-ს ერთ-ერთმა ორგანიზაციამ იგი წმიდანად შერაცხა, გაავრცელა მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთების ამსახველი ვიდეო მასალა, დასისხლიანებული სახით. ასევე, ადამიანის უფლებათა დამცველი ქალბატონი, შადი სადრი, ადვოკატი, დაპატიმრებული, ნაცემი, დაშინებული და, მოგვიანებით, სამსახურიდან გაძევებული. ჟურნალისტი ნარგეს მოჰამადი, „ადამიანის უფლებების დამცველთა ცენტრის“ ლიდერი; ეს ცენტრი ნობელის სამშვიდობო პრემიის ლაურეატის, შირინ ებადის (პირველი ირანელი ქალი, მუსულმანი, ვინც ეს პრემია მოიპოვა) მიერ დაარსდა, ცენტრი 2010 წელს რეჟიმმა დახურა. ამ ქალებს, გამბედაობასთან ერთად, მაღალი კულტურა აერთიანებთ, რაც ასე იშვიათია მათ ქვეყანაში; ისინი თავიანთი ქვეყნის სამოქალაქო სინდისს განასახიერებენ.

პაკისტანელი ჰინა ჯილანი, ადვოკატი, მან 1980 წელს დასთან ერთად ჩამოაყალიბა Womens's Action Forum და 1981 წელს პაკისტანში პირველმა გახსნა ქალთა საადვოკატო ოფისი, რის გამოც ის არაერთხელ გახდა ძალადობის სამიზნე. ხუთი წლის შემდეგ, მან დააფუძნა პაკისტანის ადამიანის უფლებების დაცვის კომისია და პირველი ოფიციალური წარმომადგენელი იყო გაეროს გენერალურ სამდივნოში.

ჰინა ჯილანი

ავღანეთში, ქალთმოძულე მამაკაცების, თალიბების სამეფოში, ექიმი ჰემატოლოგი ჰაბიბა სარაბი ქვეყნის პირველი გუბერნატორი გახლდათ ბამიანის რეგიონში. იგი ქალთა საქმეების მინისტრი და ასევე კულტურისა და განათლების პირველი ქალი მინისტრი იყო; მან, ხელისუფლებაში თალიბების მოსვლის შემდეგ, პაკისტანს შეაფარა თავი და მასწავლებლად მუშაობდა დევნილთა ბანაკში. ავღანეთში დაბრუნებისას, სადაც ქალების 80 % წერა-კითხვის უცოდინარია და დიდია სიკვდილიანობა მშობიარეთა შორის, მან დედათა და ბავშვთა ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი გახსნა; ცხადია, თავისი საქმიანობით, იგი თალიბების სამიზნედ იქცა.

დინგ დიზილი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ოპოზიციის ლიდერი გახდებოდა; იგი პეკინის სახალხო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ყოფილი პროფესორია და დღეს 60 წლისაა. 1989 წლის 4 ივნისს მას 17 წლის შვილი მოუკლეს ტიან ან მენის მოედანზე. თავდაპირველად, მან თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ თავს სძლია და დააარსა ორგანიზაცია „ტიან ან მენის დედები“. ამით მას სურდა, რომ ასობით, ან იქნებ ათასობთ დედისთვის, რომლებსაც დენგ ქსიოპინგის კომუნისტურმა რეჟიმმა შვილი მოუკლა, ნუგეში ეცა; ორგანიზაცია ოცი წლის შემდეგ ძლიერ პოლიტიკურ სიმბოლოდ იქცა: ეთიკურ ღირებულებებს მოკლებულ საზოგადოებაში სიმართლე განწირულია. სიმართლის გარეშე კი სამართალი არ არსებობს; ხოლო სამართლის გარეშე ვერასოდეს იქნებიან თავისუფალნი ვერც ქალები, და ვერც მამაკაცები.

ქალი: „პირობა“ თუ წყევლა?

მათ ბედმა არ არგუნა თამაში, სწავლა, გართობა. ისინი 8-9, მაქსიმუმ 10 წლის გოგონები არიან. დიახ, პატარა გოგონები, სხვებისაგან მხოლოდ ერთი რამით განსხვავებულები: მათ არა აქვთ სათამაშოები, ბარბის თოჯინები... მათ ასაკით უფროს მამაკაცებზე გათხოვებას აიძულებენ; მათ ხელიდან სტაცებენ ბავშვობას. მსოფლიოში ასეთი გოგონა-პატარძლების რიცხვი 60 მილიონამდეა. პაკისტანში, ბანგლადეშში, ინდოეთში, აფრიკაში, ავღანეთში... ასევე, ბრაზილიასა და ჩინეთში. ინდოეთში, კანონის მიხედვით, 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია; სინამდვილეში კი, ზოგიერთ შტატში, UNICEF-ის მონაცემებით, უმრავლესობა პატარა გოგონებისა 10 წლამდე თხოვდება. ზოგჯერ ისინი ოჯახიდან გარბიან, ან სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. როგორც უახლესი ინფორმაციით ირკვევა, პაკისტანში ცოცხლადაც კი მარხავენ მეამბოხე პატარძლებს. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი თავს მორჩილად ხრიან და თანხმობას აცხადებენ. ამ ქვეყნებში ქორწინება ვაჭრობის საგნად არის ქცეული; ბავშვზე დაქორწინება ნიშნავს მისი უბიწოების, მისი ქმნილების დაცვას, ხელშეუხებლობას, – გვარწმუნებენ ამის მოქმედნი. სინამდვილეში, ფაქტების უმრავლესობა ქმრების მიერ ცოლების ფიზიკურსა და სექსუალურ ძალადობაზე, მათ დამონებაზე მეტყველებს. საქორწინო ცერემონიალის შემდეგ, პატარძალი-ბავშვი, პირველი მენსტრუაციის მოსვლამდე, მშობლების სახლში უნდა დაბრუნდეს. მშობლები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე მოიშორონ ისინი თავიდან და სიძის ოჯახს ჩააბარონ. აი, აქედან იწყება მათი ჯოჯოხეთური ცხოვრება. ბავშვობა და ყმაწვილობის ხანა ნამდვილ კოშმარად ექცევათ; ამას კიდევ ერთი სტიგმა ემატება: როდესაც ეს პატარა-პატარძლები ქვრივდებიან, მათ სრულიად რიყავენ. ასეთი ქვრივი-ბავშვების რიცხვი დაახლოებით 40 მილიონამდეა. ისინი ყველასაგან მიტოვებულები არიან და სახლში დაბრუნებაც არ შეუძლიათ. ინდუსების კულტურაში დაქორწინებული ქალი ნახევრად მისი ქმრის კუთვნილებაა. თუ ქმარი მოკვდება, საზოგადოებამ არ იცის, რა მოუხერხოს მის ნახევრად დარჩენილ ქალს. 10-15 წლის ქვრივების 90% პროსტიტუციის მახეში ხვდება. სხვები (და ესენი უმცირესობაა) მოწყალებას ითხოვენ ტაძრების წინ.

სუნამი სამი წლისაა, ნიემი — შვიდის. 2007 წლის 14 აგვისტოდან ისინი ოფიციალურად დანიშნულებად ითვლებიან და ერთად ცხოვრობენ, რომ რეგულარული გახადონ თავიანთი „საქორწინო გამოცდა“. ეს ქაბულში, ავღანეთში ხდება. სუნამი მამამ მიათხოვა თავის დისშვილს; გოგონას მამიდა ჯავრობდა, რომ მის მცირეწლოვან ვაჟს დანიშნული არ ჰყავდა, მას სურდა, შინ გოგონა ჰყოლოდა, თუნდაც ბავშვი-რძალი. პატარები ერთად იცხოვრებენ მანამ, სანამ ცოლ-ქმარი არ გახდებიან.

გასული წლის 20 დეკემბერს, IV კლასელ, 8 წლის პა-

ტარა გოგონას მოსამართლემ გაყრის უფლება არ მისცა, რომელიც მისმა დედამ მოითხოვა. ამ ფაქტმა წითელი შუქი აუნთო იმ სევდიან ფენომენს, რასაც ადგილი აქვს ისეთ მუსულმანურ ქვეყანაში, როგორიც საუდის არაბეთია. ეს ამბავი პირველად 2009 წლის აგვისტოში გახმაურდა; როდესაც პატარა გოგონას მშობელსა და 58 წლის საქმროს შორის შეთანხმება შედგა, დედამ, თავის მხრივ განქორწინებულმა, მაშინვე სასამართლოს მიმართა და საქორწინო კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა, რაც სასამართლომ უარყო: კანონის ძალით, ქალს არანაირი უფლება არ ჰქონდა, პატარა გოგონას ნაცვლად ემოქმედა; ეს თავად ბავშვს უნდა გადაეწყვიტა, როცა იგი პუბერტატიულ, გარდატეხის ასაკს მიაღწევდა, თუკი ქმრისგან გაყრას მოისურვებდა. მამამ, ფინანსური პრობლემების გამო, აიძულა 8 წლის გოგონა, გათხოვილიყო: კონტრაქტი 30 ათასი რიალის სანაცვლოდ გაფორმდა, რაც დაახლოებით 5.750 ევროს შეადგენს. მამის პირობის თანახმად, ქორწილი უნდა გადაეხადათ ათი წლის შემდეგ, როცა გოგონას 18 წელი შეუსრულდებოდა. ასაკოვან მამაკაცებზე პატარა გოგონების მითხოვების ფაქტები, ან მცირეწლოვანთა ქორწინებები (უახლესი ფაქტია ორი საუდელი ბავშვის, 11 წლის ბიჭუნასა და 10 წლის გოგონას ქორწინება) სპარსეთის ყურის სხვადასხვა ქვეყნის რეალობას წარმოადგენს, იგი განსაკუთრებით გავრცელებულია საუდის არაბეთში, ულტრა-კონსერვატორულ სამეფოში, სადაც გავრცელებულია ვაჰაბიტების უკიდურესად ფუნდამენტალისტური ისლამი, რომელიც, სხვათა შორის, პოლიგამიასაც სცნობს. იემენის ახლოს კი, გასული წლის აპრილში, 8 წლის გოგონამ მას შემდეგ მიაღწია გაყრის უფლებას, რაც სასამართლოს წინაშე ამხილა მამა, რომელმაც იგი აიძულა, ცოლად გაჰყოლოდა 38 წლის მამაკაცს.

ნოჯოუდის ისტორია

საბედნიეროდ, ეს ამბავი, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა, გოგონა-პატარძლის სასარგებლოდ დამთავრდა. იემენელმა გოგონამ სასამართლოს ძალით მიიღო გაყრის უფლება. იგი 8 წლისაა; ფოტოზე მაშინაა გადაღებული, როდესაც ტორტის ნაჭერს მიირთმევს მომღიმარი სახით, ხოლო ხელში სათამაშო დათვი უჭირავს. ის 22 წლით უფროს ქმართან განქორწინებას ზეიმობს. ნოჯოუდ ნასერი პირველი პატარა პატარძალია, რომელმაც გაყრა მოითხოვა. მან გაიმარჯვა და ახლა თავისუფლებით ტკბება. ის სითამამე, რაც ნოჯოუდს აღმოაჩნდა, სხვა ბავშვებს არ გააჩნიათ. მან შეძლო ქმრის სახლიდან გაქცევა და სასამართლოს წინაშე წარსდგა. ნოჯოუდმა ამხილა მამა, რომელმაც იძულებით გაათხოვა იგი, ასევე, ქმარი, რომელიც სცემდა და სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა მას. ყოველთვის, როდესაც ეზოში სათამაშოდ გასვლას შეეცდებოდა, ქმარი ნოჯოუდს სასტიკად უსწორდებოდა. ეს მართლაც კოშმარი იყო პატარასთვის, რომელმაც გაბედა და მოსამართლისგან გაყრა ითხოვა. ამ უკანასკნელმა გოგონას მამისა და ქმრის დაპატიმრების ბრძანება გასცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ ქვეყანაში მცირეწლოვანმა გოგონამ გაყრა მოითხოვა. მან ორთვიანი იძულებითი ქორწინების შემდეგ მიმართა სასამართლოს. „ის ცუდი რაღაცეების გაკეთებას მაიძულებდა, მე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ქორწინება,“ — უამბობს პატარა ნოჯოუდი იემენის ყოველდღიური გაზეთის, „ემენ თიმეს“ კორესპონდენტს, — „ოთახებს შორის დავრბოდი, მას რომ გავქცეოდი, მაგრამ მიჭერდა და მცემდა, შემდეგ მაიძულებდა, რომ მის ნებას დავყოლოდი“, — განაგრძობს პატარა, და იქვე დასძენს, რომ მას ეზოში სურდა თამაში, რასაც ქმარი უშლიდა. იემენში ნაადრევი ქორწინება ძალზე ხშირია. მრავალ გოგონას, ჯერ ისევ ნორჩს, ათხოვებენ მშობლებსა და ზრდასრულ სასიძოს შორის დადებული კავშირის საფუძველზე. ქვეყანაში ქორწინების ასაკი მინიმუმ 15 წელია, მის პროვინციულ ნაწილში კი გაცილებით ადრე თხოვდებიან. ზოგჯერ „კონტრაქტში“ ისიც იწერება, რომ გოგონა გარდატეხის ასაკამდე არ უნდა შევიდეს ქმართან სქესობრივ კავშირში, თუმცა ყოველთვის ასე როდი ხდება. იტალიაში, ქალაქ ბრეშაში, 2007 წელს 12 წლის სერბი გოგონა ცოლად გააყოლეს ერთ კოსოველ, 21 წლის ბოშას; ბოშას ოჯახმა, ფაქტობრივად, გოგონა „შეიძინა“ 17 ათასი ევროს საფასურად. ამ ფაქტის გამო, დააპატიმრეს როგორც ქმარი, ასევე გოგონას მშობლები.

ასეთია პატარა პატარძლების სევდიანი ისტორია, რომლებსაც ზოგჯერ ოჯახის არჩევანის საფუძველზე, ხშირად ფულის გამო, ან სულაც მამაკაცების გამრავლების მიზნით, იძულებით აქორწინებენ.

(ამოღებულია UNICEF-is saitidan www.unicef.de/5075.html.

ძალადობის ახალი ფორმები

ბანგლადეშსა და პაკისტანში 1967 წლიდან მოქმედებს გოგირდმჟავას გამოყენებით იმ ქალების დასჯა, რომლებიც უარს ამბობენ ქორწინებაზე, ან ოჯახის მიერ არჩეულ სასიძოს დაიწუნებენ და სხვას ამოირჩევენ.... ან, უბრალოდ, იმიტომ სჯიან, რომ ძალიან ლამაზები არიან... ყველაზე დიდი რიცხვი ქალზე ძალადობის ფაქტებისა, პაკისტანზე მოდის; მათ „საკუთრების საგნად“ თვლიან. 1979 წელს, ბანგლადეშში, გაეროს მიერ შედგენილმა კონვენციამ, ქალების დისკრიმინაციის შესახებ, არანაირი შედეგი არ გამოიღო... პოლიცია აგრესორებს ისევ იცავს. 1999 წელს იმავე მთავრობამ, ხანგრძლივი კამპანიის შემდეგ, გამოსცა დეკრეტი, რითაც საზოგადოების ყურადღება მიაქცია ამ საკითხზე, მაგრამ ძალადობა მაინც რჩება და ცოტა თუ ისჯება ამის გამო... გოგირდმჟავა ბაზარზე იაფად და იოლად იშოვება...საკმარისია მისი მცირე რაოდენობა, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს ადამიანს... შეიძლება მან დაკარგოს თვალის ჩინი... იწყება კანის კოროზია... შეიძლება ლპობა ძვლამდეც დავიდეს და ადამიანი დაიღუპოს კიდეც, ანდა სუიციდს მიმართოს. 2002 წელს ამ მეთოდით სამასამდე ქალი აწამეს... უმეტეს შემთხვევაში, ქალს საკუთარი ოჯახი რიყავს... ის უშვილო და გაუთხოვარი რჩება... სულითა და ხორცით შეურაცხყოფილი, იგი მამაკაცის ტყვეობაში აღმოჩნდება, კაცი მისი სრული ბატონ-პატრონი ხდება... რომ არაფერი ვთქვათ მთელ რიგ ძალადობაზე, რასაც ყოველ წუთს განიცდის... ფიზიკური, მორალური, ფსიქოლოგიური კუთხით.

დასასრულს, მინდა შეგახსენოთ, რომ მოძრაობას“ — ქალებო, მხნედ“ ადრე ეწოდებოდა — „დედებო, მხნედ“, იმ დედათა გამო, რომლებმაც მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში წამოიწყეს ბრძოლა მაფიოზური ორგანიზაციებისა და დიქტატორული მთავრობის წინააღმდეგ, რომელთა ძალადობრივმა რეჟიმმაც მათი შვილები შეიწირა. მაგრამ ეკლესიის კალენდარი სავსეა „გაბედული ქალებით“, წმიდანი ქალბატონებით, გუშინდელით თუ დღევანდელით. აქ საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი ჟურნალის ბოლო ნომრის ჩანართში წარმოდგენილი, უკანასკნელ წლებში ნეტარად და წმიდანად შერაცხული ქალბატონები.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

საარქივო მასალები

მეფე გიორგიმ თქვა: პატრო ნიკოლა, სუსტნი ვართ, არ ძალგვიძს მტრის შეშინება, მე ვერ შევაშინებ, მათ ღვთისა და ქრისტეს შიში თუ არა აქვთ, ჩემი შიშით არა იქნება რა, მე ვევედრები ღმერთს, ქრისტესა ჩემსა, რომ ამილაგმოს მტერი დასცეს იგი და შეარცხვინოს. დაიხსნას სამეფო ქართლისა განსაცდელისაგან. რა ვქნათ პატრო, დავეცით, გავნადგურდით, შინ მტერი, გარე მტერი, ძმათა და შვილთა ამბოხება, დიდებულთა განდგომა და მრავალნიც სხვა უბედურებანი მაწყლულებენ და მადარდებენ მე. არ უწყი რა ვქნა, ვევედრები ღმერთს და და ვსასოებ მისი იმედით.

პატრმა მოისმინა სიტყვა მეფისა და მიუგო პასუხი:

— სამეფო ქართლისა ვერ აიტანს უცხოთ წეს-ჩვეულებათა, ევროპაში ქრისტიანობა დაეცა, იქ დიდი უბედურება სუფევს, უცხონი შემოვლენ თქვენს სამეფოში, ისინი შემოიტანენ თავიანთ წეს-ჩვეულებას, მათ წეს-ჩვეულებას თქვენი ტკბილი სამეფო და ერი ვერ ატანს, თქვენ თუ ვერ მოგივლიათ თქვენი თავისთვის, გეუწყებოდათ, რომ მამინაცვლის და დედინაცვლის მოვლა უფრო უგვანი იქნება თქვენთვის. იგი სიკეთის წილ გადაგექცევათ მტრებად, სანანურად, საწყევრად, დამონებული ერის ენას მიეცემა დასასრული, მწიგნობრობას მოეღება ბოლო, მეხსიერება და ხსოვნა დიდთა მეფეთა განქრება, უცხო ნათესავი შეაწუხებს ქართველთა, მოაქცევს თავის სჯულზედ, თავის ენაზე, თავის საყდარზე. დაუძლურებისა და გადაგვარების გულისთვის დაადებენ დიდს ტვირთს, შემოსვენ მძიმეს უღლით, მერე სანანურად გახდება მრავალთათვის. მიკვირს მეფეო, რომ განგიზრახავთ საქმ მძიმე და საგლოველი საყოველთაოდ ქართველთა. ჰქმენით ამაზე ფიქრი და ნუ მიენდობით უცხო ნათესავს, არა თქვენს მორჯულეს და მოსაყდრეს, თქვენის პატივისა და ერის ცხოვრების, აგრეთვე ზნე-ხასიათის არა მცოდნეს, თორემ უკანასკნელი ქართველი გახდება დევნილი, შეწუხებული და შერცხვენილი უცხოს ბრძანების მეოხებით. დევნილი ერის მამულები გაიყიდება უმართებულოდ, უსამართლოდ და უკანონოდ. თქვენ ვერ იპოვნით საპოვნელს და ამიტომ ნუ იზამთ მას, რაც არ იქმნება ქვეყნისათვის კარგი და სასარგებლო.

ამ გვარადვე მიუგეს მრავალთა სხვებმაც, მაგრამ მეფემ უარი განაცხადა ასე:

— დავსუსტდით, ქრისტიანობა დაეცა, ქრისტიანობა გაქრებაო,

პატრმა კვალად განაგრძო სიტყვა. პატრს მიეხმარნენ მრავალნი და აუწყეს მეფეს ისრაელთა ერის დაპყრობის და დამონების ამბავნი. წაიკითხეს ბიბლიიდან: ერო ჩემო, კაცნი, რომელნიცა მთავრობენ შენზე და გმაცდურებენ შენ, დაკარგავენ გზისა შენისა კვალთა... დროთა ამათ უღმრთო მოუღებს სამკაულთა და სარკეთა და შემოსავს საგლოველსა სამოსსა, მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა, განასნორებს მათ მიწას-თანა“. მეფემ სდუმნა და შესწუხდა ძლიერ.

განვლო დრო-ჟამმან, ამბოხება ქართველ დიდებულთა შორის განვრცელდა, თუ აქამდე რამე ერთობა არსებობდა, მხარეების პირად უფლებათა მაძიებლობამ დაარღვია ყველაფერი, აიწენა საქართველოს სამეფო საქმეები, ერმა იმ წერტილამდე მიაღწია, რომ მისი მზერა შეგნებულ მამულიშვილისათვის სატირალ-საწუხარი იქნებოდა. ძნელად რომ იგი ვინმეს აეტანა. აქ იყო სამეფოს ძალოვნებისათვის ერთობა საჭირო, მაგრამ საუბედუროდ ეს ერთობა არ ჰქონდათ მათ. ბორჩალოს მაზრაში ქართველობა მოისპო, თრიალეთსაც იგივე დღე დაადგა, ჯავახეთიც გაქრობის გზაზე დააყენეს ოსმალთა. მაღალის წოდებისაგან მდაბალნი დიდს განსაცდელში ჩაცვივდნენ. ქართველები მებატონეთა დევნის და გათათრების შიშით საქართველოდან გარბოდნენ.

მეფე გიორგი მწუხარებით მზერდა სამეფოს აღრევის საქმეს, იგი ამბობდა: რომ ჩემ სამეფოს აღევის დასასრული არ მიეცემაო. თუმცა დიდი მორიდებით, მაგრამ მაინც გაბედა რუსეთთან დაკავშირება და ჰქმნა ამისთვის კრება და რჩევა ქართველთა დიდებულთა. კრებას დაესწრო მრავალი თბილისელი ქართველი და პატრენიც. საუბრის დროს პატრ ნიკოლას გარდა თანახმანი იყვნენ ყველანი და მალე რუსეთში დესპანებიც გაგზავნეს. შეერთება მოხერხდა. 1800 წლის დამდეგს, თბილისში ჯარი მოვიდა. მეფე თავის ამალით დიდუბესთან მიეგება. მეფეს თან ახლდნენ დიდებულნი და პატრი ნიკოლაც. ოდეს ჯარის მემუსიკეთ და მომღერალთ დაიწყეს დაკვრა და მღერა, მეფე გამხიარულდა, სიხარულით აღვსილმა მიმართა პატრ ნიკოლას და უთხრა:

— აბა შეხედე, ჩემო პატრო, როგორ ლაპლაპებს რუსის ჯარის ზარბაზან-თოფ-იარაღ-მუსიკა, დღეის შემდეგ მტერი ვერაფერს დაგვაკლებს ჩვენ. პატრმა მიუგო:

— ბარაბანი დაჰკრეს და საქართველო იმარხება. თქვენი მამულები ბარაბანით გაიყიდება და თქვენს მკვდრებსაც მუსიკით დამარხავენ. ერი და ენა თქვენი დაეცემა, მწიგნობრობას ბოლო მოეღება. ყველგან გახდებით დამდაბლებულნი და უმნიშვნელონი, სახელი თქვენი და თქვენის მამა-პაპების მალე აღიხოცება ისტორიის ფურცლებზე, დადუმდება თქვენი მოღვაწეობის მოგონების ხსოვნა საერთოდ ქართველებში, დიდთა მეფეთა ამაგი და შრომა გაუქმდება უცხო ნათესავის მიერ. მეფე დადუმდა.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი
მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

9. შეეძლო თუ არა იესოს ცოდვის ჩადენა?

იესოს არ შეეძლო ცოდვის ჩადენა, რადგანაც იგი ღმრთაებრივი პიროვნება იყო. მისთვის მეტაფიზიკურად შეუძლებელია, ჩაიდინოს ცოდვა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ღმრთის ნებას. არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, — იგი ერთი ღმერთია, რომელიც სამპიროვანია (მამა, ძე და სული წმიდა). სამების ყოველი პიროვნება ღმერთია, მაგრამ არ არსებობს სამი ღმერთი, არამედ — მხოლოდ ერთი. ეს ნიშნავს, რომ სამების თითოეული პიროვნება იზიარებს იმავე ღმრთაებრივ ინტელექტს და ღმრთაებრივ ნებას. რაც იცის ერთმა პიროვნებამ, იცის სამივე პიროვნებამ. რაც ნებავს ერთ პიროვნებას, ნებავს სამივე პიროვნებას. როგორც სამების მეორე პიროვნება (ძე ღმერთი), იესო ღმერთია. ამავე დროს, მისთვის შეუძლებელია დაუპირისპირდეს თავის საკუთარ ნებას. თუკი რომელიმე ღმრთაებრივ პიროვნებას ძალუძს დაუპირისპირდეს ღმრთაებრივ ნებას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უარყოფს საკუთარ თავს, რისი გაკეთებაც შეუძლებელია. რაკი ღმერთს არ შეუძლია სცოდოს (რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია დაუპირისპირდეს საკუთარ ნებას), ამდენად სამი ღმრთაებრივი პიროვნებიდან ვერც ერთი ვერ ჩაიდენს ცოდვას.

მაშინაც კი, როცა ვაღიარებთ, რომ იესო თავის ღმრთაებრიობაში ანუ ღმრთაებრივ ბუნებაში ვერ ჩაიდენს ცოდვას, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, შეძლებდა თუ არა იგი ცოდვის ჩადენას თავის ადამიანურობაში ანუ ადამიანურ ბუნებაში. ქალკედონის კრებამ (451) განსაზღვრა, რომ იესოს ჰქონდა ორი ბუნება (ღმრთაებრივი და ადამიანური), რაც ასევე ნიშნავს, რომ მას ჰქონდა ორი ინტელექტი და ორი ნება. დასაშვებია, რომ მისი ადამიანური ნება დაპირისპირებოდა მის ღმრთაებრივ ნებას? განა არ იყო მისი ადამიანური ნება თავისუფალი? დიახაც, იყო თავისუფალი, მაგრამ ესაა ღმრთაებრივი ნება. თავისუფალი არ ნიშნავს სინამდვილის უარყოფის ან გაუქმების შესაძლებლობას. ყოველ ჩვენგანს გვაქვს თავისუფალი ნება, მაგრამ ჩვენ არა ვართ თავისუფალნი გადავიქცეთ იმად, რაც არა ვართ. ჩვენ არა გვაქვს უნარი, გავხდეთ ღმრთაებრივნი. ჩვენ არ ძალგვიძს, სიკეთე ვაქციოთ ბოროტებად და არ ძალგვიძს, ბოროტება ვაქციოთ სიკეთედ. ჩვენ თავისუფალნი ვართ, ავირჩიოთ, თუ რა ვაკეთოთ: სიკეთე თუ ბოროტება, და ვიტანჯოთ ამ ჩვენი არჩევანის გამო.

იესოს ადამიანური თავისუფალი ნება, მისი ადამიანური რაციონალური ინტელექტის მსგავსად, არის

რეზო ანდღულაძე

დაიბადა სოფ. არალში 1950 წელს, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა; წარჩინებით სწავლობდა ჯერ ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ კი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ეკონომიკის განხრით. აღნიშნულ სასწავლებელთა დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ის მუშაობდა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში პედაგოგად, ასევე, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამჟამად იგი ახალციხის რაიონის გამგეობაში კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტია.

ბატონი რეზო ხალხური რეწვის ოსტატია, მისი ნამუშევრები მრავალჯერ იყო წარდგენილი სხვადასხვა გამოფენაზე. 2005 წელს მიენიჭა რეწვის ოსტატის წოდება. 2010 წელს ის მონაწილეობდა კუს ტბის ტერიტორიაზე მდებარე ეთნოგრაფიული მუზეუმის ძველი მესხური დარბაზის აღდგენაში.

ჩემს თხოვნას, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა, ბატონი რეზო სიამოვნებით დათანხმდა. გთავაზობთ ჩანაწერს მისი საუბრიდან:

სიმონ აფრიამაშვილი

თქვენ სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა სავანის მოძღვრების, პავლე აკოფაშვილისა და პეტრე ტატალაშვილის ძმათა შთამომავალი ბრძანდებით. გთხოვთ, გვიამბოთ მათ შესახებ.

პავლე აკოფაშვილი პაპაჩემის ძმა იყო, ხოლო პეტრე ტატალაშვილი — ბებიაჩემის ძმა. აღსანიშნავია, რომ მ. პეტრე ტატალაშვილი ერთ-ერთი უკანასკნელი მოძღვარი იყო ფერიქოის სავანის ეკლესიისა. მან მთელი თავისი ცხოვრება ამ ეკლესიას შესწირა. სიცოცხლის ბოლო სამი წელი მ. პეტრე ავადმყოფობდა, რის გამოც მ. პავლე აკოფაშვილი საფრანგეთიდან ჩამოვიდა მის მოსავლელად და ეკლესიის საპატრონოდ. პეტრე ტატალაშვილი გარდაიცვალა 1961 წელს. პავლე აკოფაშვილი სიმონ ზაზაძესთან ერთად მართავდა ეკლესიას 1982 წლის აპრილამდე.

1978 წელს მ. პავლე შეხვედრია იმჟამად სტამბოლში მყოფ საქართველოს პატრიარქს, მის უწმიდესობას, ილია მეორეს (ამის შესახებ იმდროინდელი გაზეთებიდან შევიტყვეთ).

პაპაჩემის ბიძა იყო ანტონ პეტრეს ძე აკოფაშ-

ვილი, კათოლიკე მღვდელი. იგი მოღვაწეობდა კახეთში, ქართლში, მესხეთის სოფლებში: უდეში, არალში; აბასთუმანში, ე.წ. ხის ეკლესიაში, რომელიც ამჟამად დანგრეულია. აღსანიშნავია, რომ ეს ხის ეკლესია პაპაჩემის ბიძებს აუგიათ. ანტონ აკოფაშვილი გარდაიცვალა 1919 წლის 9 მაისს, 75 წლის ასაკში.

როგორც ჩემთვის ცნობილია, ბოლო რამდენიმე წელია, ბათუმის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე, ქ-ნი შუშანა ფუტკარაძე და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ქ-ნი ციური ლაფაჩი დროდადრო მუშაობენ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის არქივებში. ისინი საგაზეთო სტატიებში ფართოდ აშუქებენ იქ მოღვაწე მამათა ცხოვრებას, რითაც ჩვენი ერისათვის სასარგებლო და პატრიოტულ საქმეს აკეთებენ.

რას გვეტყოდით სარწმუნოებაზე, და კერძოდ, კათოლიკობაზე?

არ არსებობს ცუდი და კარგი სარწმუნოება, მორწმუნის ყველა გზა უფალთან მიდის.

რაც შეეხება კათოლიკობას, ამ აღმსარებლობამ ქართველებს კარგიც დაგვმართა და „ცუდიც“; საუბარი მაქვს იმაზე, რომ სომეხმა კათოლიკე მღვდლებმა ბევრი ქართველი სომხურ რიტზე გადაიყვანეს და მათ ეროვნებაც სომეხი ჩაუწერეს — „გაასომხეს“ (ამის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს მიხეილ თამარაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, პეტრე ხარისჭირაშვილისა და შოთა ლომსაძის წიგნებში).

დღეს ჩვენს მრევლზე ზრუნავს ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. პირადად მე მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია, მაგრამ ნუთუ არ დადგა დრო, რომ რომმა აღიაროს არა ლათინური, არამედ ქართული წესის კათოლიკენი? და აღიარება უნდა მოხდეს იმ დღიდან, როცა ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური სარწმუნოება გავრცელდა, რათა ჩვენი წინაპრების სურვილიც აღსრულდეს, რაზედაც წუხდნენ ჩვენი სოფლის წარჩინებული პირები 1903 წელს, როდესაც ზ. ჭიჭინაძეს შეხვდნენ. ამ უკანასკნელმა კი მათი წუხილი თავის წიგნში „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“ გადმოსცა (1903 წ. გვ. 35-36 ჩემი სოფლისა და ეკლესიის მდგომარეობას ეხება).

რას თვლით საჭიროდ ქრისტიანთა ერთობისათვის?

ქრისტიანთა ერთობისათვის საჭიროა ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი.

თვისება მისი ადამიანური სულისა, რომელიც გაერთიანებულია მის ადამიანურ სხეულთან, მაგრამ ჰიპოსტაზურად გაერთიანებულია მის ღმრთაებრივ ბუნებასთან. ეს ნიშნავს, რომ მისი ადამიანური ნება და ღმრთაებრივი ნება ყოველთვის თანადროულია, რომლებიც ყოველთვის გაერთიანებულია და მოქმედებს ჰარმონიულად. ეს არ ნიშნავს, რომ ის არ იყო ცდუნებული. ეშმაკი აცდუნებდა მას უდაბნოში (მათე 4:11; მარკოზი 1:9-13; ლუკა 4:1-14), მაგრამ ეს საგანგებო ცდუნება იყო. იესო არ დაბადებულა პირვანდელი ცოდვით, — ყოველი ჩვენგანისაგან განსხვავებით. მიუხედავად იმისა, რომ ნათლისღება განგვბანს ჩვენში დაბუდებული პირვანდელი ცოდვისაგან, ჩვენ აქამდე მაინც ვატარებთ მის შედეგებს, კერძოდ, ავხორცობას, რომელიც ინტელექტის დაბნელება, ნების დასუსტება და, ამავე დროს, მოუწესრიგებლობაა იმგვარ ადამიანურ განცდათა და გრძობათა, როგორებიცაა სწრაფვა სიამოვნებისაკენ, მყუდროებისაკენ, ბედნიერებისაკენ და ა. შ. რაკი იესო პირვანდელი ცოდვისაგან თავისუფალი დაიბადა, მას არ გააჩნდა არავითარი ავხორცობა. დაცემამდე არც ადამსა და ევას ჰქონდათ ავხორცობის გრძნობა. ეშმაკმა საგანგებოდ აცდუნა ისინი სამოთხის ბაღში (დაბადება 3). ეშმაკმა, ასევე, საგანგებოდ სცადა იესოს ცდუნებაც უდაბნოში. ჩვენ ყველანი ცდუნებულნი ვართ ჩვენი შელახული ადამიანური ბუნების მიერ.

რა გვაქცევს ჩვენ ადამიანად? ჩვენი სისუსტენი? ჩვენი ცოდვები? არა! ჩვენი უკვდავი სული, რომელსაც აქვს რაციონალური ინტელექტი და თავისუფალი ნება, არის სწორედ ის, რაც გვაქცევს ადამიანად და რაც ჩვენ ღმრთის მსგავსებასა და ხატს გვანიჭებს. იმის განცხადება, რომ ქრისტეს უცოდველობა (ანუ უმანკოება) მას ნაკლებად ადამიანურ არსებად აქცევს, შეცდომაა იმის გამო, რომ ის, რაც ადამიანის ბუნებას აყალიბებს, არაა უნარი ცოდვისა. უნარი აზროვნებისა და უნარი თავისუფალი ნებისეული გადაწყვეტილებების მიღებისა არის ადამიანური. ცხოველები მოქმედებენ ინსტიქტების თანახმად, კომპიუტერი ოპერირებს პროგრამების მიხედვით. მხოლოდ ადამიანური არსება აზროვნებს და აკეთებს მორალურ არჩევანს, თუნდაც ცუდს, თუნდაც კარგს. იესოს უძლურება ცოდვის ჩასადენად არ უარყოფს მის ადამიანურობას, ან მის ადამიანურ ბუნებას, ანდა თუნდაც მის თავისუფალ ადამიანურ ნებას. როგორ ერთხელ თქვა იოანე პავლე მეორემ, დიდმა პაპმა, „თავისუფლება არ არის ნებართვა“. თავისუფლება არის არა უნარი იმისა, გააკეთო ის, რაც შენ გინდა, არამედ შესაძლებლობა იმისა, რომ გააკეთო ის, რაც შენ უნდა გააკეთო, — ძალა იმისა, რომ მოიქცე მართლად მართალი საქმისათვის.

მასალა მოამზადა

მერაბ ღაღანიძემ

„ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება“

„ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი“ (მათ. 5,6). რა არის ნეტარება? ნეტარება ღმერთთან ახლოს ყოფნას ნიშნავს და არა საკუთარი ბედნიერების სხვის უბედურებაზე აგებას, ან ბრძოლას განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ.

იესო ქრისტე ნეტარებას უწოდებს: მოთმინებას, სიყვარულს და მზადყოფნას ნებისმიერი ბოროტი შემოტევებისთვის.

იესო მათეს სახარებაში საუბრობს ნათლობაზეც: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“ (მათ. 28, 19-20).

მე-3 საუკუნეში, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მიღებულ იქნა სამოციქულო სიმბოლო — „მრწამსი“, რომლის მიხედვითაც ეკლესია არის ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო, ხოლო ნათლობა ხდება ერთხელ. იესომ თავად დააარსა ეკლესია: „შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი“ (მათ. 16, 18).



არლის წმ. იოსების სახელობის ეკლესია

ქრისტიანებს ყოველთვის დევნიდენ, პირველი საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, თუმცა არ გამქრალა წმიდა ეკლესია, ის არსებობს და იარსებებს უკუნისამდე. სავალალოდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანები ქრისტიანი ძმებისგან იდევნებიან. იესო ამბობს: „ძმა ძმას გადასცემს სასიკვდილოდ... აღდგებიან შვილები მშობლების წინააღმდეგ“ (მათე, 10,21).

საქართველოს მოსახლეობის 1.5% კათოლიკე ეკლესიის შვილია. არსებობს სოფლები, სადაც უმრავლესობა კათოლიკეა, რადგან უწინ ამ სოფლების მოსახლეობას მხოლოდ კათოლიკეები წარმოადგენდნენ. ახლა ზოგიერთი ფიქრობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს აღმსარებლობის შეცვლას: რა მოხდა მერე, თუ „სხვა“ ეკლესიაში წავალ? ნამდვილი მორწმუნე ერთხელ აღიარებულ მრწამსს არ შეიცვლის, ისევე როგორც არ შეიძლება სამშობლოს ან მშობლების შეცვლა.

საქართველოს ტელევიზიამ, კერძოდ კი „რუსთავი 2“-მა, 2011 წლის 29 იანვარს, ვრცლად და მეტად ტენდენციურად გააშუქა სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ბავშვებმა, არლიდან და ვალედან, თავიანთი ნახატები გამოფინეს თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“. თავისთავად კარგი ფაქტია, როდესაც ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს სიცრუის საბაბი. გადაცემაში მამა იოსებმა, არლის მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარმა, აღნიშნა, რომ მართლმადიდებლურ რწმენაზე მოექცა ათასზე მეტი არლელი. მართალია, იყო და არის გადანათვლის შემთხვევები და მათი რიცხვი რამდენიმე ათეულით განისაზღვრება, მაგრამ არა — „ათასით“, როგორც მ. იოსები მიუთითებს. საინტერესოა, ამ სოფლის შვილებმა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დიდი ძალისხმევით ინარჩუნებდნენ საკუთარ რწმენას, ასე იოლად დაკარგეს იგი? თუ ეს მოგონილი სიცრუეა ხალხის თვალის ასახვევად?

ამავე სიუჟეტში, ერთი არლელი გოგონა, რომელიც, კათოლიკე ეკლესიის წყალობით, ხშირად დადიოდა საზაფხულო ბანაკებში, აბასთუმანში თუ სხვაგან, მიცემულ ინტერვიუში უეცრად აცხადებს, რომ მან და მისმა მეგობრებმა აღმოაჩინეს ნამდვილი რწმენა და გადაინათლნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ამას შემდეგ მოჰყვა აგრესია კათოლიკეების მხრიდან, მაგრამ იგი მაინც მართლმადიდებლობის ერთგული დარჩა. ეს ბრალდება მორიგი სიცრუეა და მისი შემთხზველნი ამით კიდევ ერთხელ ირცხვენენ თავს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მართლმადიდებლებმა კი არ მონათლეს, არამედ „გადანათლეს“ ხალხი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ გააყალბეს ნათლობა უკვე მონათლულთა ხელახალი ნათლობით. პავლე მოციქული ამბობს: „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება“ (ეფეს. 4,5). ქრისტეს სახელით ჩადენილი სიყალბე სულიწმიდის გმობას ნიშნავს, სულიწმიდის გმობა კი არ მიეტევება ადამიანს.

რისთვის მოკვდა და აღდგა იესო? რომ შემდეგ აღმდგარი იესოს სახელით ხალხი მოატყუონ? არა! ის ევნო ჩვენი სიცრუისა და ცოდვების გამო და აღდგა, რათა დავეხსენით ამ ყველაფრისაგან.

თუ არ დაიცავთ საკუთარ საუნჯეს, მოვა სხვა და წაგართმევთ მას. ნუ მისცემთ საშუალებას ქურდს, შემოვიდეს და მოგპაროთ განძი. დაიცავით თქვენი რწმენა და ნუ გაატანთ მას ქარს.

იესო ამბობს: „ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება“ (მათე, 10,22). მოითმინეთ ეს დევნა და შევიწროება, მაგრამ ნუ დახუჭავთ თვალებს, იბრძოლეთ საკუთარი განძის დასაცავად, სიყვარულითა და სახარების ძალით. გაიხსენეთ წინაპრების რწმენა და თავდადება, აიღეთ მაგალითი მათგან და გახდით სხვებისათვის მაგალითი სიყვარულისა და მოთმინებისა. წმ. პავლე ამბობს: „მოთმინება შობს სიყვარულს“. იესო კი დაგვპირდა: „მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე...“ (მათე, 28,20).

არლის წმ. იოსების ეკლესიის მრევლი

ვატიკანისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან, წმინდა საყდარი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს ეროვნულ ხელისუფლებასთან. ვატიკანი რიგით მე-9 სახელმწიფოა, რომელმაც 1992 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოების დონეზე.

საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მრევლი რაოდენობით მე-4 ადგილზეა მართლმადიდებლების, მუსლიმების და სომხური ეკლესიის მრევლის შემდეგ. ტრადიციულად, საქართველოს კათოლიკური საკრებულოს წევრები ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარულ სფეროში საკმაო აქტიურობით გამოირჩევიან.

ვატიკანისა და საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივები, თანამედროვე ეტაპზე, თანაბრად მიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს ორივე ქვეყნისთვის, თუ მას სწორი, მიზანდასახული მიმართულებით და მეთოდურად განახორციელებენ ისინი, ვისაც ხელეწიფება ამ პოლიტიკის რეალიზება. და მაინც, რა ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოიყოს ამ კუთხით?

პირველი და უმთავრესი ფაქტორი, ეს გახლავთ ვატიკანის მხარდაჭერა საქართველოსთვის საერთაშორისო ასპარეზზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის გავლენით, ლათინური ამერიკის ორმა სახელმწიფომ, ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. შესაძლებელი იყო, საქართველოსთვის ამ სახიფათო ტენდენციას განვითარება მოჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ რუსეთი აქტიურად ცდილობდა, სხვადასხვა სახის ზეწოლით, გავლენა მოეხდინა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებზე, რათა მათ დიპლომატიურ დონეზე ეცნოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჩვენი სახელმწიფოსათვის სასურველი გარდატეხა მოახდინა და თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარების პროცესი შეჩერდა. ვფიქრობთ, ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ვიზიტმა ვატიკანში, 2010 წლის მაისში, როდესაც შედგა საქართველოს პრეზიდენტისა და რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის ოფიციალური შეხვედრა. მართალია, ორი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრის ყველა დეტალი არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ვიზიტმა იქონია დადებითი როლი საქართველოს პრეზიდენტისა და ლათინური ამერიკის ლიდერების მოლაპარაკებებზე. ყოველ შემთხვევაში, სასურველი შედეგი სახეზეა, ამ რეგიონის სახელმწიფოებს აღარ გამოუთქვამთ სურვილი საქართველოს სეპარაციული რეგიონების დიპლომატიურ დონეზე ცნობისა... და ეს ყველაფერი ხორციელდება რუსეთის მხრიდან აშკარა მატერიალური დახმარების აღმოჩენის შეთავაზებების ფონზე.

ოფიციალური ვატიკანის პოზიცია, რომელიც ცალსახად გმობს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებულ აგრესიას, მნიშვნელოვანი მესიჯია მთელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი კათოლიკური ქვეყნებისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის პრეზიდენტ სააკაშვილის სამადლობელი სიტყვები ბენედიქტე XVI-ის მიმართ: „განსაკუთრებით მადლობელი ვარ, რომ ვატიკანი განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესახებ პირადად ვუთხარი რომის პაპს, მასთან შეხვედრისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი რომის კათოლიკური ეკლესია საქართველოს ინტერესების მხარდამჭერია; ამისათვის მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, რადგან იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენეს, რომის წმინდა საყდრის საკმაოდ გავლენიანი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და ჩვენი მომავლისათვის“.

ასევე, წმინდა საყდარი სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსის განსაზღვრაში. იურიდიული აღიარების ეს პროცესი ათეულ წელზე მეტხანს მოიცავს და, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჯერ ისევ გაურკვევლობის ბურუსშია გახვეული. თუმცა, მ. სააკაშვილისა და ბენედიქტე XVI-ის გასული წლის შეხვედრის შემდგომ, ექსპერტთა აზრით, სავარაუდოა, ამ პრობლემის ორივე მხარისათვის მისაღები ფორმით გადაწყვეტა. ყოველ შემთხვევაში, პაპთან შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვები იმედს უსახავს წმინდა საყდარს, რომ საქართველოში მოხდება კათოლიკური ეკლესიის ცნობა მისთვის შესაფერისი იურიდიული ფორმით.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველო-ვატიკანის ურთიერთობებში გახლავთ კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერა საქართველოსათვის საერთაშორისო ვალების ჩამოწერაში. წმინდა საყდრის პოზიცია, რომ განვითარებად ქვეყნებს ჩამოეწეროს საერთაშორისო ვალები, დიდი ხნის გაცხადებულია საჯაროდ, და კათოლიკური ეკლესიის მღვდელმთავრები 2000 წლიდან არაერთ მოწოდებაში აღნიშნავენ ამ აქციის აუცილებლობაზე.

ეკლესიათაშორისი თანამშრომლობა და ვატიკანის უცვლელი პოზიცია დემოგრაფიულ და სოციალურ პრობლემათა დაძლევის კუთხით, უღარიბეს ქვეყნებზე ვალების ჩამოწერა ათვლის ის წერტილია, რომელიც სწორ გეზს აჩვენებს შექმნილ ვითარებაში; აი, ის პრობლემა, რომლის დაძლევაშიც რომის კათოლიკური ეკლესია აქტიურადაა ჩაბმული.

მესამე ფაქტორი ეს გახლავთ კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობა ვატიკანსა და საქართველოს შორის. სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ორგანიზება ევროპის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით, ქართველ მკვლევართა ხელშეწყობა, წიგნების თარგმნა და გამოცემა. ნიჭიერ ხელოვანთა მხარდაჭერა და საზღვარგარეთ მათი გასტროლების ორგანიზება, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნა; აი, მოკლე ჩამონათვალი ამ კუთხით კათოლიკური ეკლესიის საქმიანობისა.

მეოთხე ფაქტორი ეს არის სოციალურ-ჰუმანიტარული თანამშრომლობა, რომელსაც კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციები თავიანთი დონორების მხარდაჭერით ახორციელებენ საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, და რაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი დოლარით განისაზღვრება. პოლიამბულატორიის, სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრებისა და საავადმყოფოს ფუნქციონირება, მოზარ-

▶ 16 გვ.

◀ 15 ᲒᲒ.

დებისათვის გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზება და სხვა მრავალი აქცია. აი, მოკლე ჩამონათვალი ამ ორგანიზაციათა ჰუმანიტარული აქტიობისა.

ქრისტიანული ეკლესიის ჰუმანიტარული აქტიობა სათავეს წმინდა წერილიდან იღებს. ორი ათასწლეულის განმავლობაში ეკლესია, პასტორალურ და მისიონერულ მოღვაწეობასთან ერთად, აქტიურად ეწეოდა სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ საქმიანობას. XX საუკუნიდან, როდესაც საზოგადოების ფართომასშტაბიანი სეკულარიზაციის ხანა დადგა, ეკლესიის პოლიტიკისათვის ჰუმანიტარული საქმიანობა წარმმართველი კურსი გახდა. კათოლიკური ეკლესიის მიერ სოციალური დოქტრინის მიღებამ ჰუმანიტარული საქმიანობა ეკლესიის ძირითად პოლიტიკად აქცია. ბოლო წლებში სოციალური საქმიანობა, რომის ეკლესიის მსგავსად, მართლმადიდებელი ეკლესიებისთვისაც იქცა მათი მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროდ. ცხადია, ამ თვალსაზრისით, დასავლური ეკლესიის გამოცდილებების გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგება აღმოსავლური ეკლესიების ჰუმანიტარულ პოლიტიკას.

ჩვენს საზოგადოებაში ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცება, უცხოეთის რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება, სამშვიდობო და გარემოს დაცვით სფეროებში საქმიანობა გლობალიზაციის გამოწვევების დაძლევის ეფექტური საშუალებაა და მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ამ კუთხითაც, კათოლიკური ეკლესიის გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა დადებითი შედეგების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის, რომელმაც ცალსახად აირჩია დასავლეთ ევროპასთან ინტეგრირების პოლიტიკა.

ნუგზარ ბარდაველიძე

ჩვენთვის მთავარია ქრისტიანებს შორის დიალოგი

ფლორენცია — აქ, სადაც ამაყად აღმართულა ბრუნელესკების დიდგუმბათოვანი ტაძარი, კავკასიური ჰავა შეიგრძნობა. ფლორენციის ისტორიულ ცენტრში მდებარე წმ. ელისაბედის სახელობის ძველი ეკლესია, უკვე რამდენიმე კვირაა, საქართველოს მართლმადიდებელ მორწმუნეთა საკულტო ადგილად იქცა.

„რამდენიმე თვეა, რაც იტალიაში ვიმყოფები, პირველად დავტოვე ჩემი ქვეყანა. რამდენიმე დღე რომში დავყავი და შემდეგ ფლორენციაში ჩამოვედი. ამ ქალაქში, რომელიც თბილისს მახსენებს, დიდი სითბო ვიგრძენი და ძალიან მოვიხიბლე მისი უძველესი ისტორიითა და ულამაზესი ეკლესიებით; განსაკუთრებით მომხიბლა ბატისტერის ფრესკებმა, რომლებსაც ბიზანტიური ელფერი დაჰკრავთ“, – გვიამბობს მამა ანდრეა ლაცაბიძე, ოცდაექვსი წლის ქართველი მღვდელი, ასკეტი. სწორედ ის გახლავთ ფლორენციის ქართული სამრევლოს მოძღვარი. მამა ანდრეა იმერეთის მთიანი სოფლიდანაა. „მადლობას მოვახსენებ ფლორენციის ეპარქიას, – განაგრძობს იგი, — და განსაკუთრებით, დონ ალექსანდრე ბიკის, კათედრალის დიაკვანს, სერალის ქუჩაზე მდებარე შენობების გადმოცემისათვის. ეს სწორედ რომ დროული ნაბიჯი იყო, რადგან უკანასკნელ წლებში ბევრი ქართველი ჩამოვიდა იტალიაში და, რა თქმა უნდა, მათ სჭირდებათ თავიანთი ტაძარი. ჩვენთვის მთავარია ქრისტიანებს შორის დიალოგი.“ ფლორენციის ეპარქიიდან დიალოგისთვის დიდი მზაობა ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ეკუმენიზმის კუთხით.

„ნოემბერში ქართული საკრებულოს წევრები მოვიდნენ ჩემთან თხოვნით, რომ შეძლებისდაგვარად, გამოგვენახა მათთვის საკულტო ადგილი, — აცხადებს მამა ბიკი, ფლორენციის ეპარქიაში ეკუმენიზმის კომისიის წევრი, – მაშინვე საქმეს შევუდექი: თავდაპირველად, ორი შენობა გადავეცით დროებით სარგებლობაში, ერთი ემპოლში და მეორე ფლორენციაში, სტუდიოს ქუჩაზე, სადაც რომიდან ჩამოსული ქართველი მღვდელი აღავლენდა წირვებს. მამა ანდრეას ჩამოსვლის შემდეგ კი, ჩვენ საბოლოოდ გადავეცით მათ ეს შენობები. ფლორენციის კურიამ, სრულიად უსასყიდლოდ, მთლიანად მათ განკარგულებაში გადასცა წმ. ელისაბედის ძველი ეკლესია, რომელიც ფლორენციის ისტორიულ უბანში მდებარეობს“. ტაძარი 1330 წელსაა აგებული და, ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით, მართლაც რომ უმდიდრესი საგანძურია. ეკლესიის ჭერზე წმიდა მარიამ მაგდალელის ფრესკაა, შესრულებული ალექსანდრე გერარდინის მიერ. ტაძარში დაცულია პალა მწყემსთა თაყვანისცემით, რომელიც ძმების, მიქელე და რუდოლფო გირლანდაიოს სკოლას მიეკუთვნება. „ჩვენ ყველა ქრისტიანთან უნდა გავმართოთ დიალოგი, — განაგრძობს მამა ბიკი, – და მათ კონკრეტული დახმარება გავუწიოთ. ქართველი მართლმადიდებლები, როგორც ძმები, ისე მივიღეთ და ერთმანეთს სითბო ვაჩუქეთ. ჩვენს ულამაზეს ტაძარში წმ. იოანე ნათლისმცემლისა და წმ. ანდრეას ძვირფასი რელიქვიები გვაქვს შენახული, და ამჯერად ვმუშაობთ იმაზე, რომ დავაკმაყოფილოთ ქართველების სურვილი ეკუმენური წირვის შესრულებისას ამ წმიდანთა თაყვანისცემისა“.

ასე გვიჩვენეს ფლორენციელებმა სხვადასხვა ერსა და კონფესიას შორის დიალოგისა და ძმობის ლამაზი გაკვეთილი. ეს არის მესიჯი, რომელიც საქართველოსა და ლილიების ქალაქს შორის ანტიკურ კავშირებს კიდევ უფრო აღრმავებს, რამეთუ პირველი კავშირები 1330-40–იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც ავინიონელმა პაპმა, იოანე XXII-მ, იოანე ფლორენციელი ეპისკოპოსად დანიშნა, რომლის რეზიდენციაც თბილისში იყო. შემდეგ ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ფლორენციის კრებაში (1439); ეს კავშირები დღესაც გრძელდება, რაც გამოიხატა, მაგალითად, დელ ბიანკოს ფონდსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ნაყოფიერ თანამშრომლობაში.

კორესპონდენტი

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ

მიღებულია — 30.12.2010 წ ძალაშია — 31.12.2010 წ 21.02.2011 წ — მდგომარეობით (პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი)

მუხლი 1

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებმა (შემდგომში — დაწესებულება) შექმნან პირობები ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 2

ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია შეხვდეს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის ან/და ტრადიციული კონფესიების წარმომადგენელს, რომელიც დაწესებულებაში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმებით.

მუხლი 3

მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანხმობა უნდა გაიცეს შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის ვინაობა, ვიზიტის მიზანი და სავარაუდო ხანგძლივობა.

მუხლი 4

ბრალდებული/მსჯავრდებული რელიგიურ რიტუალებს ასრულებს საკანში, ხოლო შესაძლებლობის არსებობისას, ამ მიზნით მოწყობილ შენობებში, იმ რელიგიური კონფესიების ტრადიციების შესაბამისად, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.

მუხლი 5

არ დაიშვება რელიგიური რიტუალის შესრულება, რომელიც არღვევს სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებებს.

მუხლი 6

ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ნებადართულია თან იქონიონ და ისარგებლონ რელიგიური ლიტერატურით, ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა მჩხვლეტავი, ბასრი, ძვირფასი ლითონების და ქვის ნაკეთობებისა ან იმ საგნისა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფასეულობას.

მუხლი 7

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ხათუნა კალმახელიძე

სემინარების ციკლი

სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან იწყება სემინარების ციკლი რელიგიურ თემაზე. სემინარების მიზანია გაიმართოს ცოცხალი დისკუსია, რომელიც ხელს შეუწყობს რელიგიური ცნობიერების გაღრმავებასა და პასუხს გასცემს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს.

დასწრება თავისუფალია. დასაწყისი: 17.30

სემინარები გაიმართება შემდეგი განრიგით:

2 მარტი: ბიბლია და ყურანი- რა არის სხვაობა?
მომხსენებელი: პიერ დიუმულენი

16 მარტი: მარხვის აზრი და არსი
მომხსენებელი: აკაკი ჭელიძე

30 მარტი: რა არის ლოცვა? როგორ ვილოცოთ?
მომხსენებელი: ზაზა თევზაძე

13 აპრილი: აღდგომა თუ რეინკარნაცია?
მომხსენებელი: ვაჟა ვარდიძე

27 აპრილი: მოწყალება, ქველმოქმედება თუ სოციალური სამართლიანობა
მომხსენებელი: კახაბერ კურტანიძე

18 მაისი: რა არის სული? როდის იწყება ადამიანის პიროვნება?
მომხსენებელი: პიერ დიუმულენი

25 მაისი: თავისუფლება და არჩევანის თავისუფლება ქრისტიანულ აზროვნებაში
მომხსენებელი: კახაბერ კურტანიძე

სემინარები ჩატარდება სულხა საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში.

მისამართზე: გია აბესაძის 6, ტელ.: 98-95-16

ნეტარია, ვისაც საკუთარ თავზე სიცილი ძალუძს,
რადგან სეირი მას არასოდეს მოაკლდება.
ნეტარია, ვინც მთას არჩევს რიყის ქვისაგან,
რადგან ბევრჯერ აიცილებს იგი გულის დაწყვეტას.
ნეტარია, ვინც ისვენებს და ძილს არ იცდის
ნებისმიერი მიზეზის გამო, სწორედ იგი გახდება ბრძენი.
ნეტარია, ვინც ისმენს და ვინც დუმს,
რადგან ისინი შეიცნობენ მრავალ სიახლეს.
ნეტარია, ვისაც ჰყოფნის იმდენი ჭკუა,
რომ არ შეხედოს საკუთარ თავს გულდაჯერებით,
ახლობელთაგან მას დაფასება არ მოაკლდება.
ნეტარია, ვინც სხვის შეჭირვებას პირს არ შეაქცევს
და არც მაცხოვრად მიაჩნია საკუთარი თავი,
იგი იქნება სიხარულის ირგვლივ მთესველი.
ნეტარ იქნებით, თუკი შეძლებთ, არ უგულებელყოთ
მცირე საგნები, და დიდისაგან კი არ შეშინდეთ,
თქვენს ცხოვრებაში შორს წახვალთ და
მრავალს მიაღწევთ.
ნეტარ იქნებით, თუკი შეძლებთ კეთილი ახსნა მოუძებნოთ
სხვათა საქციელს, ყველას ჯიბრზე,
მიამიტებად მიგიჩნევენ, თუმც კი ესაა სათასური
ღმრთაებრივი სიყვარულისთვის.
ნეტარია, ვინც საქმემდე ფიქრს არ იზარებს,
ხოლო ფიქრამდე ახსენდება ღმრთისადმი ლოცვა,
იგი უამრავ სისულელეს აიცილებს გზიდან.
უპირველესად კი, ნეტარ ხართ,
ვინც უფალს იცნობთ ყოველ შემხვედრში,
ჭეშმარიტი შუქი და სიბრძნე გაქვთ თქვენ ნაპოვნი.

თომას მორი
1478-1535

განცხადება

2011 წლის 22-23 მარტს ჩატარდება ბიოეთიკაში სიმპოზიუმი, თემაზე – სუროგატი დედები.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიები.

სარჩევი

ეპისკოპოსის მიმართვა 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
გამოჩენილი ქართველი კათოლიკენი 9
საარქივო მასალები..................11
კათოლიკური პასუხი..................12
ინტერვიუ 12
აქტუალური თემა..................14
ეკუმენური გვერდი..................15
ინფორმაცია 17
ახალგაზრდული გვერდი 19
საგანგებო ჩანართი ....I-IV

რედაქცია:
მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011

განუსვენე მათ, უფალო!

მარიამ ნასყიდაშვილი
* 08. 09. 1923 – ვალე
† 01. 02. 2011 – ვალე

მარიამ ჩიტაშვილი
* 15. 11. 1926 – ვალე
† 10. 02. 2011 – ვალე



პეტრე ხითარიშვილი
* 25. 12. 1932 – ვალე
† 13. 02. 2011 – ვალე

პეტრე მანველიშვილი
* 29. 01. 1943 – ვალე
† 19. 01. 2011 – ვალე

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

თანამედროვე ახალგაზრდობა

პირველ რიგში, მივესალმები ამ სტატიის მკითხველს... საუბარს დავიწყებ იმით, რომ წილად მხვდა პატივი, „საბაში“ ჩემი წერილი დაბეჭდილიყო, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მამა გაბრიელე ბრაგანტინის. სწორედ მან მომცა საშუალება, ჩემი აზრი დამეფიქსირებინა.

აღსანიშნავია, რომ მამა გაბრიელეს პირველად შევხვდი და მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა: ის უაღრესად კეთილშობილი და საოცარი პიროვნება ბრძანდება.

ჩვენი საუბარი შეეხო თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრებას. კერძოდ, მე ჩემი გულისტკივილი გამოვხატე მამა გაბრიელესთან...

თუ კარგად დავაკვირდებით, ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, საქართველოში ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებას წინ დიდი დაბრკოლებები ელობება. ალბათ, ძნელი შესამჩნევი არ არის ქუჩაში დაძაბული სახეებით მოსიარულე ახალგაზრდები. მათ თვალებში აშკარად შეიმჩნევა, რომ საკუთარი პიროვნება ვერ უპოვიათ და ქუჩაში გზააბნეულ მოგზაურებს ჰგვანან. თითქოს პესიმიზმით არის გამსჭვალული მათი ფსიქიკა. საკმაოდ ბევრი მიზეზი არსებობს ახალგაზრდების ამგვარი პესიმიზმისათვის. პირველ რიგში, ოჯახური გარემო, სოციალური და ეკონომიკური სირთულეები. სხვადასხვა სახის პრობლემები დღეს თითქმის ყველა ოჯახში გვხვდება: წყვილებს შორის გაუგებრობა, რომელიც ბოლოს ოჯახის დანგრევით მთავრდება; ფინანსური სიდუხჭირე; გაუგებრობა ოჯახის წევრებს შორის, რაც ართულებს მათ ურთიერთობებს. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება მოზარდებსა და ახალგაზრდებზე.

ჩვენ, ადამიანებს, ხშირად ჩვევად გვაქვს, როგორც საკუთარ თავთან, ასევე სხვებთანაც ვიმართლოთ თავი. სწორედ ეს ცუდი სინდრომი ქმნის საზოგადოებაში გარკვეულ სირთულეებს.

ზოგიერთ ოჯახში არსებული სიტუაცია შეიძლება შემდეგ მაგალითს შევადაროთ: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ფილმის რეჟისორი, ხოლო თქვენი შვილები ამ ფილმში მონაწილე მსახიობები. განა თქვენ, რეჟისორს, გესიამოვნებათ, რომ თქვენს მიერ დადგმულ ფილმში მსახიობებმა ისე ითამაშონ, როგორც თავად სურთ, და არა ისე, როგორც თქვენ გინდათ? რა თქმა უნდა, არა... რეჟისორს ყველაზე დიდი ჯაფა და ენერგია სჭირდება, ფილმის დასრულების შემდეგ, პრემიერაზე ყველაზე მქუხარე აპლოდისმენტები რომ დაიმსახუროს... ამ მაგალითიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დღევანდელი ახალგაზრდების ზოგჯერ რთული და არასწორი ცხოვრება უმეტეს წილად მშობლების ბრალია. განა მათ ხელში არ არის საძერწი თიხა, რომელსაც ისეთ ფორმას მიაღებინებენ, როგორიც უნდათ?

სამწუხაროა, როცა ქუჩაში ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ახალგაზრდებს ხვდები. რამ გამოიწვია ყოველივე ეს? ნუთუ სასოწარკვეთილი ადამიანი ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით იმშვიდებს თავს? ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ გოგონების თვალში ქალწულობის ინსტიტუტმა ფასი დაკარგა და, აქედან გამომდინარე, ხშირად გვესმის არაკანონიერი ქორწინების შესახებ, რომელსაც დიდი დრო არ უწერია და მალევე სრულდება.

სტატიები, რომლებიც ახალგაზრდების პრობლემებს ეხება, ხშირად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ გამოსავალი ძნელი მოსაძებნია.

გამოსავალს მხოლოდ უფლის რწმენაში ვხედავ: უფალი ამბობს: „ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძებეთ და იპოვით. დარეკეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, ღებულობს, ვინც ეძებს, პოულობს და ვინც რეკავს, გაეღება“ (მათ.7, 7-8). ამ სიტყვებით უფალი რწმენისკენ მოუწოდებს ცოდვილებს და გზააბნეულებს. მარკოზის სახარებაც რწმენისკენ მოგვიწოდებს: „იქონიეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას.

ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება“(11,23-24).

რომან ქველიძე